ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 25 ივნისი, 2020 №136 (8400) ფასი: 60 თეთრი

„გიორგი შაქარაშვილს თავის ქალა აქვს ჩამტვრეული, მდინარესთან თავისით ვერ მივიდოდა“

„ერთს რკინის ხელკეტი ეჭირა, მეორემ დიდი ქვა აიღო და წამოვიდნენ, რომ დაერტყათ“

დაღუპული ფეხბურთელის საქმის ახალი დეტალები გვ.5

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას ხლართვების პროფესია აქვს. ნაციონალებიც მან გახლიჩა“

„სააკაშვილის დაბრუნება არ იქნება პრობლემა და ამას ახლავე მოვაწერდი ხელს“

„როგორ გამოიყვანა ბოკერიამ უგულავა ორჯერ ციხიდან, ესეც გვაინტერესებს, რაც უკვე გარკვეული გვაქვს...“

გვ.2

„ზოგიერთმა ოპოზიციონერმა თავი გაიბანძა“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „დაახლოებით ორ კაცს გაიყვანს პარლამენტში ელისაშვილი-დოლიძე და „ლელო“ გაიყვანს ალბათ 7 კაცს“

თბილისის ერთ უბანზე „ლელო“ მაჟორიტარობის კანდიდატს არ დააყენებს

გვ.4

კახა კოჟორიძე: „ჩემთვის ცოტა რთულად წარმოსადგენია, როგორ შეიძლება გიორგი მარგველაშვილი პარტიის სიის პირველი ნომერი იყოს“

გვ.5

ჯეირანას და კუსას მხარდაჭერით 1 პირს 8.800 ევროს გადახდა დააკისრეს

გვ.3

დავით ლორთქიფანიძე: „რურუას საქმეზე სასამართლო კონგრესმენების მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს“

ISSN 1987-9385

2 „ოცნების“ მაჟორიტარის, ანზორ ბოლქვაძის, ნათესავების კომპანიებმა ჯამში 6 მილიონი ლარის ტენდერები მოიგეს

4 ოკუპირებული აფხაზეთი ფინანსური კრახის წინაშეა

5 მიხეილ კალანდიას ადვოკატი მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილს ბრალდებებს უყენებს

6 ფხენიანი სეულის წინააღმდეგ „სამხედრო მოქმედებას“ წყვეტს

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას ხლართვების პროფესია აქვს. ნაციონალებიც მან გახლიჩა“

„სააკაშვილის დაბრუნება არ იქნება პრობლემა და ამას ახლავე მოვაწერდი ხელს“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ დააყენა მაჟორიტარად საკუთარი კანდიდატურა საბურთალოს ოლქში ოპოზიციასთან შეუთანხმებლად? რატომ უპირისპირდება გიგა ბოკერიასა და გიგი უგულავას? ისევ წამოაყენებს თუ არა პრემიერ-მინისტრის პოსტზე გიორგი ვაშაძის კანდიდატურას და ბოკერიას რა კვალს ხედავს ამ დაპირისპირებაში? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს:

„როგორ გამოიყვანა ბოკერიამ უგულავა ორჯერ ციხიდან, ესეც გვაინტერესებს, რაც უკვე გარკვეული გვაქვს...“

– ბოკერიას სიტყვებს მოვიშველიებ და ასეთ კითხვას დაგისვამთ, ქართულ პოლიტიკაში ეგზოტიკური ფიგურა ხართ?

– მოვისმინე და თქვა, ჩემი მხარდაჭერა არ ექნებაო. დავიწყოთ იმით, რომ ბოკერიას მხარდაჭერა რომ არ მექნება, ეს ყველამ კარგად ვიცით, ვინაიდან მე ძალიან ბევრი განცხადება მაქვს გაკეთებული, მათ შორის თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ იმ გაფართოებულ მაგიდასთან მე არ ვიჯექი და როგორ მექნებოდა ბოკერიას მხარდაჭერა?! ბოკერიამ რომ არ უნდა დამიჭიროს მხარი, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მე თავი წარვადგინე მაჟორიტარად. ბოკერიას კარტელიდან ვინმე დააყენონ და ჩემი დანიშნულებაც ეგ არის, რომ ფსევდოოპოზიციას წავართვა ხმები. ეს კი არ ნიშნავს, რომ მე ოპოზიციას ვართმევ ხმებს, არამედ ეს ნიშნავს, რომ ფსევდოოპოზიციას ვართმევ.

– თუმცა, ვისაც თქვენ ფსევდოოპოზიციას უწოდებთ, მათთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან ზის ის პოლიტიკური ძალა, რომელ პოლიტიკურ ერთობაშიც თქვენ ხართ.

– მე არ ვზივარ იმ მაგიდასთან. მე ვარ დამოუკიდებელი პარტია „კანონი და სამართალი“. „ნაციონალებმა“ ორი კანდიდატი დააყენეს და მორჩა. ნიკა მელიამ მისი სახელით გააკეთა განცხადება. მე, დამოუკიდებელი პარტიის წარმომადგენელმა, ვის ვკითხო, სად დავაყენებ კანდიდატურას ბოკერიას, ბურჯანაძეს თუ ბესელიას? ბოკერია არის 30-წლიანი პოლიტიკური ვირუსი და უგულავამ მიპასუხა ამაზე, რომ გამძლე ვირუსი ყოფილაო. კი, იმიტომ, რომ მუტაციას განიცდის.

– უგულავამ თავის გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, როდესაც 2012 წელს „ოცნებას“ უჭერდით მხარს. „ნაცმოძრაობას“ და სააკაშვილს მწვავედ აკრიტიკებდით და პრაქტიკულად დამნაშავეებს ეძახდით. რა პასუხი გაქვთ ამაზე?

– ახალია ეს ვიდეო თუ ვინმეს უგულავას გადაღებული ჰგონია? 7 ნოემბერს მე ვაპროტესტებდი იმას, რაც მოხდა. ერთხელ დამჭირდა შეხსენება „ოცნების“ ერთერთი მომხრისათვის და მე თვითონ დავდე ეგ ვიდეო, რომ ოპოზიციაში ვიყავი-მეთქი. 7 ნოემბერს დაგვარბიეს და ამას ვაპროტესტებდით. მაშინ სააკაშვილი გადადგა, ეგ განსხვავებაა სააკაშვილსა და ბოკერია-უგულავას ტიპის მმართველებს შორის. სააკაშვილმა დატოვა დემოკრატიის მარცვალი იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოს დაენახა, რომ პრეზიდენტი გადადგა. უგულავამ ატრიალოს ის კადრები, როგორ „აპრავებს“ აქციის დარბევას ბოკერია. ეს განსხვავებაა თამარ ჩარკვიანს, ბოკერიას, უგულავასა და ბურჯანაძეს შორის. თამარ ჩარკვიანს არც ერთი ხელისუფლების დროს დარბეული ხალხი არ მოსწონს, ხოლო ბოკერიას და ბურჯანაძეს თავისი ხელისუფლების დროს დარბეული ხალხი მოსწონს და „აპრავებს“ ხელისუფლებას. ხოლო 26 მაისს, ბურჯანაძემ ატეხა ერთი ამბავი.

როცა გრიგოლ ვაშაძე წარვადგინე პრეზიდენტობის კანდიდატად ბაგრატის ტაძარზე, ჩემი ხიბლი სწორედ ეს იყო, რომ 9 წელი ვიყავი სააკაშვილის ოპოზიციაში, მაგრამ ამ სამარცხვინო ხელისუფლებამ გამაგიჟა იმით, როდესაც ქვეყანას კურსი შეუცვალა და ამიტომ შევუერთდი „ძალა ერთობაშია“-ს. მე წინა ხელისუფლების დროს სულ ვიძახდი, რომ უსასტიკესი დანაშაულები მიმდინარეობს პენიტენციურ სისტემაში-მეთქი, რაზეც ის ჩანაწერიც მოწმობს, მაგრამ, როგორც რეფორმატორს, ბადალი არ ჰყოლია სააკაშვილს და არც ჰყავს. კიდევ არსებობს ჩანაწერი, რომელიც უგულავას არ აქვს და შემიძლია მივაწოდო და ატრიალოს და უყუროს, რამდენიც უნდა.

ეგ ჩანაწერი, რაც მან დადო, მე თვითონ დავდე ჩემს გვერდზე. მე ვიყავი წინა ხელისუფლების ოპოზიციაში. მოვიდა ხელისუფლება, რომელსაც მთელი საქართველო ელოდებოდა, რომ რაღაცას გააკეთებდნენ, მაგრამ ივანიშვილმა საუკუნის გადაგდება შემოგვთავაზა. რას წარმოვიდგენდი, რომ ასე მოიქცეოდა? თავის დროზე, პატრულის რეფორმა მან დააფინანსა, იმიტომ, რომ ქველმოქმედად იცნობდა ყველა მას. რას წარმოვიდგენდი, რომ ქველმოქმედება ანგარებიანი ჰქონია. სახელმწიფო ღალატს თუ მოგვთხოვდა ამის გამო, ეს უკვე წარმოუდგენელი იყო. უგულავამ მიხედოს იმას, თავის უახლოეს მეგობარ მიხეილ სააკაშვილს, როგორ უწოდა ჯართი. კიდევ იმას, როგორ არის პოლიტპატიმარი რურუა ციხეში გამომწყვდეული და ორჯერ როგორ გამოიყვანა ის ბოკერიამ, ამის დოკუმენტებიც გვაინტერესებს და ცოტა ხანში ჟურნალისტური გამოძიების ამ მასალებსაც დავუდებთ.

– გარიგება მოხდა და ამაზე მიანიშნებთ?

– რა ვიცი, აბა! ამას გავარკვევთ ჟურნალისტური გამოძიებით, რაც უკვე გარკვეული გვაქვს.

– აანონსებთ?

– რა თქმა უნდა. ორჯერ დაჭერილი უგულავა გამოდის ჟივილ-ხივილით და რა ვიცი! რურუა კი ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული.

– რამდენჯერმე ახსენეთ ბოკერია და ბურჯანაძე ერთად. უკვე ერთ პრიზმაში განიხილავთ ბურჯანაძეს და ბოკერიას?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გიორგი რურუა: „ჩემი მძევლად დატოვება მეორეხარისხოვანია, მესამე მოსმენით კენჭისყრაში მონაწილეობა აუცილებელია“

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე, ბრალდებული გიორგი რურუა მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენით კენჭისყრაში მონაწილეობა აუცილებელია.

„მინდა გამოვეხმაურო 8 მარტის შეთანხმებას! ჩემი პოზიცია ასეთია, მესამე მოსმენით კენჭისყრაში მონაწილეობა აუცილებელია, მნიშვნელობის აღნიშვნას აღარ დავიწყებ. მესმის ჩემი მეგობრების პოზიციაც, მეც ასე მოვიქცეოდი მათ ადგილას. ჩემი მძევლად დატოვება ახლა მეორეხარისხოვანია. უპრინციპობას ჩვენ ვერავინ დაგვაბრალებს.

პროპორციული საარჩევნო კანონის მიღება იყო და არის საზოგადოების მთავარი მოთხოვნა, ასევე ჩვენი საერთაშორისო მეგობრების თხოვნაც.

ეს საქმე მივიყვანოთ ბოლომდე“ – წერს გიორგი რურუა „ფეისბუქის“ გვერდზე.

გუშინ, 24 ივნისს, გიორგი რურუას სასამართლო პროცესი გაიმართა. საქალაქო სასამართლოში დაცვის მხარის მოწმეები დაიკითხნენ და ის სამართალდამცველები, რომლებიც საკანში იყვნენ შესულები ნივთმტკიცებულებების წამოსაღებად.

პროცესის დაწყებამდე ადვოკატებმა მედიას ორი დოკუმენტი გააცნეს, ერთი იყო წერილი, რომელიც ადვოკატის განცხადებით, ევროპარლამენტარებს კახა კუჭავამ გაუგზავნა.

ბრალდებულმა გიორგი რურუამ კიდევ ერთხელ განუცხადა მოსამართლეს, რომ მის მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდება.

– მინდა შევეხო ზეწოლას, რომელიც ხორციელდება ჩემზე და თქვენზე. მე არ ვარ დამნაშავე. ჩემ მიმართ არის პოლიტიკური დევნა. აუცილებლად ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ, – განაცხადა გიორგი რურუამ.

რურუას უფლებადამცველის განცხადებით, ბრალდების მიერ საკუთარი მტკიცებულებათა ნუსხიდან პირადი ნივთების ნაწილის მოხსნით დასტურდება, რომ პოლიციელთა მხრიდან დოკუმენტების გაყალბებას ჰქონდა ადგილი.

– პირადი ნივთების ნაწილი ბრალდებამ მოხსნა საკუთარ მტკიცებულებათა ნუსხიდან, შესაბამისად, ეს არ უდევს საფუძვლად გიორგი რურუას მიმართ ბრალდებას, თუმცა ამით დასტურდება პოლიციელთა მხრიდან დოკუმენტების გაყალბება. ზუსტად ასე მოხდა დოკუმენტის გაყალბება 18 ნოემბერსაც, როდესაც არ ჩატარებულა ჩხრეკა, გამომძიებელიც კი არ ყოფილა, უბრალოდ, პოლიციის შენობაში გამომძიებელმა შეადგინა ყალბი ჩხრეკის ოქმი და ამ ჩხრეკის ოქმში დააფიქსირა, რომ მას აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი, – აცხადებს დიმიტრი საძაგლიშვილი.

საქმის პროკურორ ვასილ სამხარაძის თქმით, ცეცხლსასროლ იარაღზე დნმ-ის კვალი არსებობდა, თუმცა ადამიანის ვინაობა, ვის ეკუთვნოდა ეს დნმ-ის ნიმუში, ჯერ დადგენილი არ იყო. პროკურორის თქმით, საგამოძიებო ორგანომ სასამართლოს მი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ოცნების“ მაჟორიტარის, ანზორ ბოლქვაძის, ნათესავების კომპანიებმა ჯამში 6 მილიონი ლარის ტენდერები მოიგეს

ზემო აჭარის მაჟორიტარ დეპუტატ ანზორ ბოლქვაძის და მისი ოჯახის წევრების ბიზნესსაქმიანობის შესწავლისას ირკვევა, რომ დეპუტატის ბიძაშვილის, რძლისა და მამიდაშვილის კომპანიებმა ბიუჯეტიდან უკონკურენტო ტენდერებში 2 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.

მაჟორიტარის ოჯახის კომპანიების ძირითადი დამკვეთი აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტია, სადაც სატენდერო კომისიის წევრი და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი, მისი შვილი როლანდ ბოლქვაძეა.

„გიგა 2015-ს“, „აისმასა“ და „ქედემს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 4 წლის განმავლობაში 97 მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. კომპანიებიდან ყველაზე შემოსავლიანი დეპუტატის ბიძაშვილის, რომან ბოლქვაძის შპს „გიგა 2015-ია“, რომელსაც 79 ტენდერი აქვს მოგებული. აქედან 69 საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ არის გამოცხადებული.

ბოლო წლებში რამდენიმე მილიონის შემოსავალი მიიღეს დეპუტატის რძლის, გურანდა გობაძისა და მამიდაშვილის შვილის, არჩილ ქედელიძის კომპანიებმაც.

ნათესაურ კავშირს ადასტურებს, თუმცა ნათესავების კომპანიების წარმატებებში საკუთარ კავშირს გამორიცხავს თავად ანზორ ბოლქვაძე. მაჟორიტარის განმარტებით, არც ერთი ბიზნესი, რომელსაც მისი ოჯახის წევრები ფლობენ, მასთან კავშირში არაა. დეპუტატი ნეპოტიზმს და კორუფციას გამორიცხავს და ორგანიზაციას, რომელმაც მისი და მისი ნათესავების საქმიანობა შეისწავლა, სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებს.

მმართველი პარტიის წევრის კავშირს მოგებულ ტენდერებთან გამორიცხავს „გიგა 2015-ის“ მფლობელის შვილიც. თუმცა, მაჟორიტართან ახლო ნათესაურ კავშირს არ უარყოფს. რა უპირატესობების გამო ახერხებს „გიგა 2015“ ტენდერების მოგებას, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა „კურიერთან“ თავად რომან ბოლქვაძემ, რომელიც დეპუტატის ბიძაშვილია, არ ისურვა.

საგზაო დეპარტამენტში ამტკიცებენ, რომ მაჟორიტარის შვილს, როლანდ ბოლქვაძეს, რომელმაც „კურიერის“ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვა, საკუთარ ბიძაშვილებთან და ბიძასთან ნათესაობა არ აკავშირებს. უწყების იურისტი დარწმუნებულია, რომ ტენდერების დროს, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატის შვილი თავად არის კომისიის წევრიც, ინტერესთა კონფლიქტი არ დაფიქსირებულა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ზემო აჭარის მაჟორიტარი დეპუტატისა და მისი ოჯახის წევრების ბიზნესსაქმიანობის შესწავლას საგამოძიებო უწყებებს სთხოვს. არასამთავრობო ორგანიზაციამ სამგზის მაჟორიტარის სანათესავოს მიერ აჭარაში მოგებულ ტენდერებზე კვლევა გუშინ, 24 ივნისს, გაასაჯაროვა.

ექვსი მილიონი ლარის ტენდერები, მიწის ნაკვეთები და სასტუმრო სამთო კურორტ გოდერძიზე, კომერციული ფართები და ბინები ბათუმში – ეს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ ბოლქვაძის გარემოცვის მიერ ბოლო წლებში დაგროვებული ქონების არასრული ჩამონათვალია.

საქართველოს პარლამენტმა ანტიკრიზისული ბიუჯეტი დაამტკიცა

გუშინ, 24 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა ანტიკრიზისული ბიუჯეტი დაამტკიცა. დოკუმენტის გადამუშავებულ ვერსიას კენჭი პარლამენტის პლენარულ სესიაზე უყარეს და 84 ხმით დაამტკიცეს.

2020 წლის ანტიკრიზისული ბიუჯეტი 15 მილიარდ 923 მილიონ 800.000 ლარით განისაზღვრა.

კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის გამო, ბიუჯეტში, შემოსავლის სახით, 1,8 მილიარდი ლარის დანაკლისია პროგნოზირებული. ბიუჯეტის დეფიციტი 8,5%-ია. დოკუმენტის თანახმად, მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკა 4%-ით შემცირდება.

2020 წლის ბიუჯეტის განახლებული პროექტის მიხედვით, ყველაზე მეტად ინფრასტრუქტურის, განათლების და თავდაცვის სამინისტროების დაფინანსება მცირდება. კერძოდ, 251.3 მილიონი ლარით მცირდება ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი, 127.7 მილიონი ლარით განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი, ხოლო თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 75 მილიონი ლარით შემცირდება.

როგორც დოკუმენტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, პანდემიის შედეგად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე, ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის. აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო ხარჯებმა შეადგინა დაახლოებით 3,4 მლრდ ლარამდე.

კენჭისყრას არ ესწრებოდა ოპოზიცია. ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ კორექტირებულ ბიუჯეტში საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. უმრავლესობაში კი აცხადებენ, რომ პარლამენტის მიერ გამოთქმული შენიშვნები მთავრობამ ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში გაითვალისწინა.

რეგლამენტის თანახმად, პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ზოგიერთმა ოპოზიციონერმა თავი გაიბანძა“

თორნიკე შარაშენიძე: „დაახლოებით ორ კაცს გაიყვანს პარლამენტში ელისაშვილი-დოლიძე და „ლელო“ გაიყვანს ალბათ 7 კაცს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, პარლამენტმა მეორე მოსმენითაც მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები, თუმცა ოპოზიციას მასში მონაწილეობა არ მიუღია. აღარც ევროპულ საქართველოს. რამდენად სწორია ოპოზიციის ტაქტიკა, როდესაც მათი მონაწილეობის გარეშე მიიღება ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები?

– ოპოზიცია ცდილობს წარმოჩინდეს პრინციპულად. არ გამოუშვეს რურუა და ამიტომაც არ მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, მეორე მხრივ, ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპოზიცია დესტრუქციულია, ამდენი ხანი შეგვჭამეს ცვლილებების ძახილით და ახლა აღარ იღებენ მონაწილეობასო.

– არასახელმწიფოებრივად აზროვნებენო, უკვე მოვისმინეთ „ოცნებიდან“ ასეთი შეფასებები...

– კი ბატონო, მშვენივრად გამოიყენა ხელისუფლებამ ეს სიტუაცია. შესაბამისად, მე არ მესმის ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის ყიჟინი, რომ აი, გაიმარჯვეს. რაში ეტყობათ, რომ გაიმარჯვეს?! ხელისუფლება იღებს ცვლილებებს და რურუას მაინც არ უშვებს ხო?! თუ არ გამოუშვებს, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ თავის ძალაუფლების დემონსტრირება მოახდინა და თანაც თქვა, რომ აი, ოპოზიცია დესტრუქციულია. ოპოზიციამ ასე გადაწყვიტა და რას ვიზამთ.

– შეცდომად მიიჩნევთ ოპოზიციის ამ სტრატეგიას?

– ეს ბევრს არაფერს არ წყვეტს. მთავარი ის იქნება თუ რა მოხდება ოქტომბერში.

– დარჩა მესამე მოსმენა, ალბათ შეძლებენ, რომ სრული მობილიზაცია მოახდინონ და კანონი დაამტკიცონ.

– დიახ, დარწმუნებული ვარ, ასე იქნება.

– ეს არის დასავლეთის ზეწოლის დამსახურება?

– როცა შეთანხმდნენ ამ ცვლილებებზე, არ მგონია, რომ მის მერე კიდევ ზეწოლა ყოფილიყო. ამ ეტაპზე გადაგდება უკვე ძალიან ძნელი იქნებოდა. სხვების თანდასწრებით შეჯერდი, ამდენ კომპრომისს მიაღწიე, ამდენი მოლაპარაკებების რაუნდი და მერე კიდევ მოეტყუებინათ, აღარ გამოდიოდა.

– ბრძანეთ, მთავარია ოქტომბერში რა იქნებაო, რა მოლოდინი გაქვთ?

– ჯერჯერობით, რასაც ვუყურებთ, ამ სიტუაციაში, ამ განლაგებით, „ოცნებას“ გამარჯვების მშვენიერი შანსი აქვს.

– ოპოზიციის შანსები ნაკლებია?

– ამ გადმოსახედიდან ასე ჩანს. ვერ დალაგდნენ.

– მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი მაჟორიტარები დაასახელეს, მათ შორის დაპირისპირება კვლავ გრძელდება. რაზე ან რატომ ვერ თანხმდებიან?

– რა გითხრათ, აბა?! სამწუხაროდ, მე რასაც ვუყურებ, ბევრმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა თავი გაიბანძა. ჩემთვის გაუგებარია ეს ერთმანეთში კინკლაობები. თუ მართლა დიდ ბოროტებად მიაჩნიათ ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, ამდენს არ უნდა კინკლაობდნენ ერთმანეთში. თუმცა მაინც კინკლაობენ და ვაჭრობენ. მე ვერ ვხედავ მათში გაერთიანების მუხტს. 2012-ში, ფაქტია, რომ გაერთიანებული იყო საკაშვილის წინააღმდეგ თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი.

– მოლაპარაკების ერთ მაგიდასთან ისხდნენ იგივე ბოკერია და თაკო ჩარკვიანი, თუმცა დღეს ერთმანეთს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ.

– ესეც იყო მოსალოდნელი. 2012 წელს იყო გამოკვეთილი ლიდერი, აქ კი გამოკვეთილი ლიდერი არ ჩანს და მთელი რიგი პრობლემებია.

– ყველას ლიდერობა უნდა?

– ყველას არა, მაგრამ ზოგიერთს აშკარად უნდა. ასე არაფერი გამოვა, უნდა შეთანხმდნენ და ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ.

– ალეკო ელისაშვილიც მონაწილეობდა ამ ოპოზიციური ერთობის მოლაპარაკებებში, თუმცა ვნახეთ, რომ მან დანარჩენი ოპოზიციის ლანძღვა დაიწყო...

– ალეკო ელისაშვილი და კიდევ რამდენიმე ამბობს, რომ ისინი არასოდეს არ გაერთიანდებიან ნაცმოძრაობასთან. მოდით რა, რეალობას შევხედოთ თვალებში. თუ გინდა „ოცნების“ დასამარება, ნაცმოძრაობასთან ერთად ^თუ არ იქნები, როგორ დაამარცხებ? ყველაზე მეტ ხმას, ოპოზიციიდან რომ ნაცმოძრაობა აიღებს, ეს ხომ ფაქტია. ვის ხარჯზე აპირებენ აბა „ოცნების“ დამარცხებას? მარტო დაამარცხებენ?! ეგრე არ არის. თუ ნაცმოძრაობასთან არ გაერთიანდნენ, მაშინ არაფერი არ გამოვა. ამიტომ, რა უნდათ, ჩემთვის გაუგებარია. ამ ლანძღვა-გინებით ისევ ერთმანეთს აზარალებენ, ამით კი ვინც იხეირებს, ყველა კარგად ვხედებით. ამით „ოცნება“ ძლიერდება, რა თქმა უნდა.

– ივანიშვილს თავისი აგენტურა ჰყავს ოპოზიციაში და მიზანმიმართულად ურევს სიტუაციასო. გაქვთ თქვენ ეს ეჭვები, რომ ასეა?

– ხელს ვერავის დავადებ, თუმცა ნამდვილად არ გამიკვირდება, რომ ვიღაც ივანიშვილის თამაშს თამაშობს და მისი დავალებით მოქმედებს.

– ძირითადად ვის ამომრჩეველზე იმუშავებს ალეკო ელისაშვილის და ანა დოლიძის გაერთიანება, ან თუნდაც იგივე „ლელო“, რომელმაც მარტო გადაწყვიტა მონაწილეობა?

– ბევრს ვერაფერს იზამენ. დაახლოებით ორ კაცს გაიყვანს ელისაშვილი-დოლიძე და „ლელო“ გაიყვანს სადღაც 7 კაცს. ეს იქნება და ეს.

– უგულავამ ისედაც თქვა ელისაშვილზე, რომ გვევაჭრებოდა და ორ კაცს ითხოვდაო.

– იცის, რომ ამაზე მეტს ვერ გაიყვანს პარლამენტში და რისი შანსიც ჰქონდა, ეტყობა, იმდენს ითხოვდა. განა რამდენი ხმა უნდა აიღოს? შეიძლება ეგ ორი ვერ გაიყვანოს. შესაბამისად, ეს ერთმანეთის ჭამა და დაქსაქსვა, საბოლოო ჯამში, აძლევს ხელს ისევ „ოცნებას“, რომელიც მშვიდად, წყნარადაა, ხმას არ იღებს. გააქვს მშვენივრად კონსტიტუციური ცვლილებები. ერთმანეთში არ ჩხუბობენ და, ბუნებრივია, ხალხი ამ ყველაფერს უყურებს.

– ამ ფონზე რა შანსები აქვს ოპოზიციას, გაიყვანენ ერთიან მაჟორიტარებს?

– დიდ ქალაქებში კიდევ შანსი აქვთ. თბილისში, ქუთაისშიც. თბილისში ყველა ვერა, მაგრამ რამდენიმეს შანსი აქვთ.

– „ოცნებას“ რა შანსები აქვს, მარტო მოვა თუ კოალიციით?

– შეუძლიათ ფასადისთვის კოალიცია ვიღაცასთან ერთად გააკეთონ. თუმცა რეალურად გასაგებია, რომ „ოცნება“ და ივანიშვილი იქნება ხელისუფლებაში. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მე რასაც ვუყურებ რეალურად ძალთა განლაგებას, ასეა.

– მესამე ვადით რომ აქამდე არავინ არ არჩეულა?

– კი, მესამე ვადით არავინ არჩეულა. შესაძლოა არჩევნებამდე რაღაცა მოხდეს, რაც სიტუაციას შეცვლის რადიკალურად, მაგრამ დღევანდელი განლაგებით ეს ასეა, რომ „ოცნება“ დარჩება ხელისუფლებაში.

– ამ პროცესს ოპოზიციაც ხომ არ უწყობს ხელს?

– ფაქტია, რომ ვერ დალაგდნენ. საქართველოში როცა იცვლებოდა ხელისუფლება, შეკრება ყოველთვის ხდებოდა ერთი ლიდერის ან სერიოზული ლიდერების გარშემო. დღეს კი ეს არ ჩანს. ძალიან დაქსაქსულია ოპოზიცია. ასე იყო 2003-შიც, ასე იყო 2012-შიც. ივანიშვილი რომ შეეცდებოდა ოპოზიციის დაქსაქსვას, ეს გასაგებია, მაგრამ ოპოზიციამ თავის თავს დააბრალოს ეს.

– ივანიშვილის ფინანსებიც ხომ არ თამაშობს გადამწყვეტ როლს?

– კი, რა თქმა უნდა, მით უმეტეს, ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ვაჭრობა მოსულა. ხმამაღლა პრინციპებზე ლაპარაკი და ზურგს უკან კი ვაჭრობა, სამწუხაროდ, ეს ხდება ხოლმე ჩვენთან.

დავით ლორთქიფანიძე: „რურუას საქმეზე სასამართლო კონგრესმენების მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილება განახორციელა. საარჩევნო სისტემის შეთანხმებული ვარიანტია, მაგრამ ნაცებმა, საერთოდ, არ მიიღეს მონაწილეობა ამ პროცესში, ევრონაცებმა კი მხოლოდ პირველი მოსმენით დაუჭირეს მხარი. ეს საკონსტიტუციო ცვლილება მშვიდობიან წინასაარჩევნო პროცესებს მისცემს დასაბამს, თუ „ოცნება“ ოპოზიციისაგან კვლავ ელოდება სიურპრიზებს?

– მშვიდობიანი განვითარების პირობებში ნაცმოძრაობასა და მის განაყოფებს არანაირი შანსი არ აქვთ. ამიტომ სიტუაციის დაძაბვის არაერთი მცდელობა ექნებათ. ამისთვის მათ არსენალში არსებულ ყველა ფორმას გამოიყენებენ. სიტუაციის არევის ფორმები მათ ძალიან ბევრი აქვთ.

– ამბობთ, მშვიდობიან ვითარებაში ნაცებს პოლიტიკური წარმატების შანსი არ აქვთო. არევის შემთხვევაში შანსი აქვთ?

– ნაცები ფიქრობენ, რომ არევის შემთხვევაში შანსი მიეცემათ და მღვრიე წყალში თევზს დაიჭერენ, მაგრამ ძალიან მაგრად ეშლებათ.

– რატომ ეშლებათ?

– იმიტომ, რომ სიტუაციის არევა მათთვის დამღუპველი იქნება, რადგან, ვფიქრობ, საზოგადოება მათთან ანგარიშსწორებისკენ ილტვის. ხელისუფლების პირობებში, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები მუშაობენ, ბევრად უფრო დაცული არიან. სახელმწიფო თავისი ყველა გამოხატულებით და ნიშნებით, ქუჩაში ანგარიშსწორებას ვერ დაუშვებს.

ღმერთმა არ ქნას, თუ სიტუაცია აირია,

პროცესები ასეთი სცენარით განვითარდა, როგორც იტყვიან, მათთვის უფრო მძიმე რეალობა დადგება, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ. ნაცებს ასიათასობით ადამიანი ჰყავთ გამწარებული და მათ მიმართ მომენტალურად ანგარიშსწორება დაიწყება.

– სიტუაციის ასარევად რა შეიძლება გამოიყენონ? შეიძლება გიორგი რურუას პატიმრობა გამოიყენონ, რის გამოც ახლა ისინი პარლამენტის მუშაობაში არ მონაწილეობენ?

– ჩემთვის ძალიან ძნელია თქმა, მათ დესტრუქციულ ტვინებში რა მოიხარშება, მაგრამ მცდელობა რომ ექნებათ, უდავოა. ყველა მეთოდს გამოიყენებენ, მათ შორის, რურუას თემასაც, მაგრამ რურუას თემა რომ არ გამოდგება არეულობისთვის, იმითაც თვალნათლივ გამოჩნდა, რომ პარლამენტთან აქცია ჩაატარეს და სულ რაღაც 15 ადამიანი მივიდა. საქართველოს მოსახლეობას მოკლე მახსოვრობა არ აქვს.

– ისე, დღეისთვის მხოლოდ რურუას პატიმრობაა მათი პროტესტის მიზეზი.

– ნაცებისთვის რურუას საქმე არ იქნება რელევანტური. რურუას თემა მათ არაფერს მისცემს. რურუას გამო თბილისი ქუჩაში რომ არ გამოვა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

– კი, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში არავინ დარჩენილა მაგათი ნაცნობი თუ უცნობი, განცხადება რომ არ გაეკეთებინა და არ მოეწოდებინა ხელისუფლებისთვის, პოლიტპატიმარი გიორგი რურუა გაათავისუფლეთო. ხელისუფლება მათ მოწოდებებს არ გაითვალისწინებს?

– ეს რომ გაგვეთვალისწინებინა, აქამდე გავითვალისწინებდით. აქ წინა პლანზე სამართლებრივი საკითხები უფრო არის, ვიდრე პოლიტიკური. სასამართლოს შეუძლია რურუას აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალოს და გირაო გამოიყენოს. ეს სასამართლოს პრეროგატივაა. ამ საკითხებში პოლიტიკა არ ერევა. ხელისუფლება რომ ჩარეულიყო, აღნიშნული მოცემულობა აქამდე შეიცვლებოდა.

– განცხადებების ავტორთა შორის ამერიკელი კონგრესმენები, სენატორები, ევროპარლამენტარები ფიგურირებენ. საინტერესოა, ხელისუფლებას რისკენ მოუწოდებენ, სასამართლოზე მოახდინოს ზეწოლა და რურუა გაათავისუფლებინოს, თუ პროკურატურაზე მოახდინოს ზემოქმედება და გაათავისუფლებინოს?

– მე მათ განცხადებებს განვიხილავ ყოველგვარი კონტექსტის გარეშე. მათ გააკეთეს პოლიტიკური პარტნიორების მიმართვის შესაბამისი რეაგირება რაღაც მოვლენებზე. ამისთვის წერილობითი ფორმა გამოიყენეს. ისინი ვის და რას მოუწოდებენ, არ ვიცი. ფაქტია, დღემდე პროკურატურა და სასამართლო ამ მოწოდებებს არ დაჰყვა.

აღნიშნული თემა არ არის სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იმ ქვეყნების ხელისუფლებისთვის, საიდანაც ცნობილი წერილები იგზავნება. ამერიკის ელჩმა დეგანნმა განაცხადა, რომ ეს არ არის ამერიკის სახელმწიფოს პოზიცია. კონგრესმენები იქნებიან, სენატორები თუ ევროპარლამენტარები, თავიანთ პოზიციას გამოხატავენ.

– როდესაც გასული ერთი წლის მოვლენებს გადაავლებთ თვალს, კერძოდ, გასული წლის 20 ივნისიდან დღემდე მიმდინარე მოვლენებზე რას ფიქრობთ? მოგეხსენებათ, ქვეყანას სერიოზული პრობლემები შეექმნა გავრილოვის გამო. რაც ნაცებმა ხელისუფლების შეცდომა თავისი პოლიტიკური აქტივობისთვის გამოიყენეს. ახლა, რეალურად, მათ პროტესტს საფუძველი ხომ არ გამოეცალა?

– ვერ გეტყვით, მათ პროტესტს საფუძველი გამოეცალა თუ არა. ფაქტია, შარშანდელი 20 ივნისის მოვლენებით სარგებელი ნახეს. ქრონოლოგიურად თუ მივყვებით – მმართველ გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდა. შეიცვალა პარლამენტის თავმჯდომარე. პარლამენტის წევრმა მანდატზე უარი თქვა, იცვლება არსებული საარჩევნო სისტემა – 77/73 პროპორციის ნაცვლად იქნება 120/30-ზე, რაც ოპოზიციური ძალისთვის პლუსია.

– რა გაგებით?

– იმ გაგებით, რომ მათ გაუჩნდათ უფრო მეტი შანსი, პარლამენტში უფრო მეტი დეპუტატი შეიყვანონ. 1%-იანი ბარიერი წესდება. 5 ათასი ხელმომწერის პირობებში შეიძლება პარტიის დაფუძნება.

– ხელისუფლება დაზარალდა?

– აბსტრაქტულად თუ ვიტყვით, რამდენადაც ისინი წახალისდნენ, იმდენად დაზარალდა ხელისუფლება, მაგრამ, როგორც იტყვიან, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. როდესაც დაითვლება მიღებული ხმების რაოდენობა, მაშინ ვნახავთ, რომ ხელისუფლება არ დაზარალებულა. ჩვენ მივიღებთ უმრავლესობას. მათ მეტი იმედი გაუჩნდათ, მაგრამ შედეგი შემოდგომაზე დაიდება.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გიორგი რურუა: „ჩემი მძევლად დატოვება მეორეხარისხოვანია...“

მართა, რის საფუძველზეც აღებულ იქნა განჩინება, რომ აღნიშნული დნმ-ის ნიმუში გიორგი რურუას ეკუთვნოდა.

– ცეცხლსასროლი იარაღი, რომელზეც აღმოჩნდა ადამიანის დნმ-ის კვალი, თუმცა მისი ვინაობა არ იყო დადგენილი. შესაბამისად საგამოძიებო ორგანომ მიმართა სასამართლოს და აღებული იქნა განჩინება, რომ დნმ-ის ნიმუში მოპოვებული იყო გიორგი რურუასგან. გიორგი რურუამ უარი განაცხადა ამ მოქმედებაზე, არ მოგვცა დნმ-ის ნიმუში, შემდგომში იქნა სასამართლოზე მიმართული, რომ მისი პირადი ნივთების მოპოვება ყოფილიყო, რათა პირადი ნივთები შედარებულიყო იმ ცეცხლსასროლ იარაღს და, შესაბამისად, ამ კუთხით გარკვეული დასკვნები გაეკეთებინა გამოძიებას, – განაცხადა პროკურორმა ვასილ სამხარაძემ.

გიორგი რურუა გასული წლის 18 ნოემბერს დააკავეს.

გამოძიება რურუას სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვატარებას გულისხმობს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

თბილისის ერთ უბანზე „ლელო“ მაჟორიტარობის კანდიდატს არ დააყენებს

ნათია ხურცილავა

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

კახა კოჟორიძე: „ჩემთვის ცოტა რთულად წარმოსადგენია, როგორ შეიძლება გიორგი მარგველაშვილი პარტიის სიის პირველი ნომერი იყოს“

– ბატონო კახა, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო ცვლილებები გავა და 30 მაჟორიტარული ოლქი გვექნება. „ლელოს“ 30-ვე ოლქში ეყოლება კანდიდატი თუ შეიძლება ოპოზიციის საერთო კანდიდატს რომელიმე ოლქში კონკურენტი არ დაუყენოთ?

– სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა იქნებოდა ყველაზე სამართლიანი. თუმცა, არსებულ მოდელს ჯობია ის, რაც ალბათ მესამე მოსმენით იქნება მიღებული. „ლელო“, რჩება ერთგული იმ პოზიციის, რომელიც დაარსების დღიდან ვუთხარით საზოგადოებას. ჩვენ ამ არჩევნებში დამოუკიდებლად ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას. ახლა ვცდილობთ თითოეულ ოლქში საუკეთესო კანდიდატების გამოვლენას. ვგეგმავთ 30-ოლქში გვყავდეს მაჟორიტარობის კანდიდატი, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, ერთ-ორ ოლქში, და ეს ძირითადად თბილისს შეეხება, არ დავაყენოთ კანდიდატი.

– რომელ ოლქებზეა საუბარი?

– რომელი ოლქი იქნება და რომელ კანდიდატს არ დავუყენებთ კონკურენტს, ეს გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ გვაქვს. სრულ სურათს როდესაც დავინახავთ, მერე ჩვენ გადაწყვეტილებასაც გავახმოვანებთ.

– ვაკეში და მთაწმინდაზე, სადაც ელენე ხოშტარია და შალვა შავგულიძე იყრიან კენჭს, როგორც ვიცი, არ არის გამორიცხული, რომ „ლელომ“ მათ კონკურენტები არ დაუყენოს. უკვე მიღებულია პარტიაში ეს გადაწყვეტილება?

– ამ ეტაპზე მხოლოდ ჩემი პირადი მოსაზრება შემიძლია გითხრათ: მე, ვუდასტურებ პატივისცემას შალვა შავგულიძეს და ელენე ხოშტარიას. ამ ადამიანების მიმართ ჩვენს პარტიაშიც დადებითად და პატივისცემით არიან განწყობილნი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პარტიის გადაწყვეტილება ასეთი იქნება. მე, ახლა პარტიის სახელით არ შემიძლია გითხრათ, სად დავაყენებთ კანდიდატს და სად არა.

– რაც შეეხება საბურთალოს ოლქს. წინასწარი ვარაუდით, აქ, სწორედ ალეკო ელისაშვილი იყრის კენჭს. მასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ, „ლელო“-ს პოზიცია როგორი იქნება მასთან მიმართებით?

– ალეკო ელისაშვილთან მიმართებაშიც ჩვენ ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ გვაქვს მიღებული, დავუყენებთ კონკურენტს თუ არა, ჯერ ეს გადაწყვეტილება პარტიაში არ არის მიღებული.

– „ლელო“ როგორ არჩევს კანდიდატებს მაჟორიტარულ ოლქებში, რაზე კეთდება მთავარი აქცენტი?

– შიდა განხილვებში მთავარი კითხვა ასეა ისმის: ამა თუ იმ კონკრეტულ ოლქში, პარტიის რომელ წვერს აქვს ყველაზე მეტი შანსი? ცხადია, ვისაც ყველაზე მეტი შანსი აქვს გამარჯვების, დასახელებულიც ის იქნება. პროფესიული გამოცდილება, ბიოგრაფია, პოპულარობა, ბევრი კრიტერიუმია, ყველაფერს ვითვალისწინებთ. თუმცა, გუნდური გადაწყვეტილებით ვავლენთ, განსხვავებით სახელისუფლო პარტიისგან, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას. არც მამუკა ხაზარაძე და არც ბადრი ჯაფარიძე არც ორ ხმაში და არც ცალ-ცალკე არ იღებენ გადაწყვეტილებებს.

– რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ თითქოს ბადრი ჯაფარიძე რეგიონში იყრის კენჭს და არა თბილისში?

– ვერ გეტყვით, ასეთი კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

– არც ის არის გადაწყვეტილი, მამუკა ხაზარაძე სად იქნება წარმოდგენილი?

– ჯერ არა, მამუკა ხაზარაძე გუნდური მოთამაშეა და მას ნათქვამი აქვს გუნდისთვის, როგორც იქნება უკეთესი, ის გადაწყვეტილება იქნება მიღებული. არ არის გამორიცხული, მამუკამ დანარჩენ კანდიდატებს დაუჭიროს მხარი და მთელი ქვეყნის მასშტაბით წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყოს ჩართული ხალხთან უშუალო შეხვედრებზე.

– შეიძლება თვითონ მაჟორიტარობის კანდიდატი არ იყოს?

– დიახ, შეიძლება არ იყოს, როგორც პარტიის თავმჯდომარე, შეიძლება იყოს, დისკუსია მიმდინარეობს.

– სიის პირველი ნომერი შეიძლება გიორგი მარგველაშვილი იყოს?

– ვერ დაგიდასტურებთ. მას არ უთქვამს, რომ პარტიაში აპირებს შესვლას. პარტიაში შესვლის გარეშე, ჩემთვის ცოტა რთულად იქნება წარმოსადგენი, როგორ შეიძლება პარტიის სიის პირველი ნომერი იყოს. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. თუ გიორგი მარგველაშვილი გახდება ჩვენი პარტიის წევრი, ეს მხოლოდ გამიხარდება.

– რას იტყვით პარტიებზე, რომლებიც ახლა შეიქმნა. ვგულისხმობ პარლამენტის შიგნით ბექა ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობით და პარტია, რომელიც ანა დოლიძემ, ალეკო ელისაშვილმა შექმნეს, რომლებიც გიორგი კვირიკაშვილთან ასოცირდებიან. ამბობენ, რომ ეს პარტია შეიძლება „ლელოს“ ერთგვარი საყრდენი იყოს.

– ანა დოლიძესა და ალეკო ელისაშვილთან დაკავშირებით შემიძლია მხოლოდ იმის თქმა, რომ მათ წარმატებას ვუსურვებ. ზოგადად ყველას ვუსურვებ წარმატებას, მაგრამ ამ საპარლამენტო პარტიამ გამორიცხა „ლელოსთან“ თანამშრომლობა. ცოტა უცნაურია, რომ პირველ ნაბიჯებს ოპოზიციის კრიტიკით იწყებენ. მე არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს პარტია შეიქმნა იმიტომ, რომ მათ მიერ მიღებული ხმები ბიძინა ივანიშვილის ჯიბეში წავიდეს.

– ასე აღიქვამთ ამ პარტიას?

– კი ამბობენ, ხელისუფლება უნდა შევცვალოთო, მაგრამ ოპოზიციის ოპოზიციონერობა აძლიერებს ამ აღქმას. როგორც დაჩი ბერაიამ ითამაშა აჯანყებული დეპუტატის როლი, ისე ითამაშებენ სხვებიც ოპოზიციის როლს. ბიძინა ივანიშვილს, როგორც პოლიტიკურ რეჟისორს, შეუძლია ამ როლების განაწილება. თუმცა, პოლიტიკაში ასეთი თამაშები მალფუჭებადი პროდუქტია.

ოკუპირებული აფხაზეთი ფინანსური კრახის წინაშეა

მარიამ მჭედლიშვილი

იმ დროს, როცა აფხაზეთის დელეგაცია მოსკოვში იმყოფება, ოკუპირებულ რესპუბლიკაში გადარჩენაზე ფიქრობენ. საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დელეგაციები მონაწილეობას იღებენ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიებსა და ღონისძიებებში. დაგეგმილია შეხვედრები რუსეთის ოფიციალურ პირებთან.

უშველის თუ არა ეს შეხვედრები აფხაზეთის დაცარიელებულ ბიუჯეტს, უცნობია. ადრე ცხადდებოდა, რომ რუსეთიდან დახმარება გაიზარდა და პრობლემები მოიხსნა. ბოლო დროს გაირკვა, რომ ოკუპირებული აფხაზეთი ფინანსური და ეკონომიკური კრახის წინაშეა და ივნისივლისში ვერ დარიგდება ხელფასები საბიუჯეტო ორგანიზაციებში.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი, ასლან ბჟანია, რომელიც ოფიციალურად 23 აპრილიდან შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, მოსკოვს მალევე ეწვია. პანდემიის მიუხედავად, ბჟანია ეკონომიკური პროფილის თანამდებობის ახლად დანიშნულ პირებთან ერთად რუსეთში ჩავიდა და იქ მოლაპარაკებები გამართა რესპუბლიკისათვის დამატებითი თანხების გამოყოფაზე კორონავირუსით გამოწვეული ზარალის ნაწილობრივ დასაფარავად.

აფხაზეთის მოსახლეობას, რომლის კერძო სექტორმა უდიდესი დარტყმა მიიღო, ამშვიდებდნენ. საუბარი იყო იმაზე, რომ საბიუჯეტო გასაცემლებს დაბრკოლებები არ შეხვდებოდა, გაჩერებულ ბიზნესს კი შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდნენ.

ტურიზმზე დამოკიდებულ აფხაზეთში დამსვენებლებისათვის ფსოუზე საზღვარი ისევ დაკეტილია. აფხაზეთში უშვებენ მხოლოდ რესპუბლიკის მოქალაქეებს, ასევე რუს სამხედროებს, დიპლომატებს და მათ ოჯახებს.

მდგომარეობის სიმძიმეს აღიარებს ფაქტობრივი პრემიერი ალექსანდრე ანქვაბი. იგი არ გამორიცხავს, რომ ივნისსა და ივლისში „სახელმწიფო“ ვერ გადაუხდის ხელფასებს საბიუჯეტო სფეროს მუშაკების უმრავლესობას.

ამის გამო ახალ ადმინისტრაციას აკრიტიკებს ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, „პრეზიდენტობის“ ყოფილი კანდიდატი ადგურ არძინბა, რომელსაც ახლანდელ ხელისუფლებასთან ნორმალური ურთიერთობა აქვს. არძინბა დეპუტატ ლაშა აშუბასთან ერთად ბჟანიას ახლა მოსკოვში ახლავს. წასვლის წინ მან განაცხადა:

– ადრე უნდა მიეღოთ აუცილებელი ზომები. აქ არანაირი გამართლება არ შეიძლება იყოს. ჯერ კიდევ აპრილში მაშინდელ პრემიერ ვალერი ბგანბასთან ერთად განვიხილავდით ამ საკითხს. ცხადი იყო, რომ ამ პერიოდისათვის აღარ გვექნებოდა შიდა წყაროები, რომლის საფუძველზეც გადავიხდიდით ხელფასებს. ვაყენებდით საკითხს რუსეთიდან დამატებითი სახსრების მიღების თაობაზე. უნდა აგვეწყო ურთიერთობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, მიგვეღო კრედიტები და დოტაციები ამ ხარჯების დასაფარავად.

ხაჯიმბას მთავრობის მინისტრი ანქვაბის მთავრობას თანხების არასწორად ხარჯვის ბრალდებასაც უყენებს:

– როგორ შეიძლება ამ რთულ დროს ფულის გამოყოფა შადრევნების რემონტზე, როცა სოფლის მოსახლეობას არა აქვს სახსრები მიწის გასათოხნად.

აფხაზეთში სოფლის მეურნეობით უმეტესად ქართველები არიან დაკავებული. მათი დისკრიმინაციული მდგომარეობა არ შეცვლილა. სხვა პრობლემებთან ერთად, ქართველი მოსახლეობა ხშირად ვერ გადმოდის დანარჩენ საქართველოში. ენგურის გადმოსასვლელი ამ ადამიანებისთვის სხვადასხვა საბაბით იკეტება.

კარანტინის გამო ჩაკეტილი ენგურის საკონტროლო-გამშვები პუნქტი ორი დღით, 24 ივნისის ჩათვლით, გაიხსნა და აფხაზეთში, მშობლიურ სახლებში დაბრუნდა ასზე მეტი ქართველი. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას აფხაზეთის ბინადრობის მოწმობები აქვთ.

ბჟანიასა და ანქვაბის ხელისუფლებას ამ ადამიანებზე ზრუნვაც მოუწევთ. მით უმეტეს, რომ ქართველების გაურკვეველი იურიდიული და სხვა სახის მდგომარეობის გამოსწორება მათი დაპირებები იყო.

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას ხლართვების პროფესია აქვს. ნაციონალებიც მან გახლიჩა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ბოკერიას განვიხილავ, როგორც დირიჟორს, ბურჯანაძეს კი რუსული ვექტორის პაიკს, რომელიც ამჯერად დასჭირდა დირიჟორ ბოკერიას თავისი თამაშისთვის. ბურჯანაძე არის პუტინის სამარცხვინო პაიკი, მაგრამ ეს ბოკერიას სჭირდება იმისთვის, რომ პარლამენტში შესვლის შემდეგ პუტინის პაიკებით მიიღოს ხმები პრემიერობის კანდიდატობისთვის. გული მწყდება, რომ „ევროპული საქართველოს“ გამო, იმიტომ, რომ მოიპოვოს პრემიერობა ბოკერიამ, ყველანაირ გარიგებაზე წავიდა და ამისთვის პუტინის პაიკი გამოიყენა. როცა პრემიერობისთვის მზად ხარ გაურიგდე რუსულ ვექტორს, ეს ნიშნავს, რომ რუსული ვექტორი აღარ ხარ. რა თქმა უნდა, ბოკერიას უფრო დიდი წონა აქვს, მაგრამ ბურჯანაძე დასჭირდა, როგორც გამოსაყენებელი პაიკი.

– მაშინ ბურჯანაძეს რაში აწყობს ეს? რა სარგებელი უნდა ნახოს ამით?

– თქვენ გონიერი ჟურნალისტი ხართ და ამას უნდა ხვდებოდეთ. ბურჯანაძე ხომ გაკოტრებული პარტიაა, ახლა ამ გაერთიანებით მისი მცირე რეინკარნაცია მოხდა.

– უკვე ჩანს მისი გავლენებიც?

– არანაირი გავლენა მას არ აქვს საქართველოში. შეუძლებელია ეს. პოლიტიკურ პაიკს გავლენა ვერ ექნება.

– როცა მათ გარიგებაზე საუბრობთ, ხომ არ გაქვთ რაიმე მოლოდინი ან ინფორმაცია, რომ პარლამენტში ბურჯანაძეც მიიღებს გარკვეულ თანამდებობას?

– არა. ვერ მიიღებს. რუსული ვექტორი ვერანაირ თანამდებობას ვერ მიიღებს, ეს გამორიცხულია. უბრალოდ, ბოკერია გამოიყენებს ყველა პატარა პარტიის ხმებს თავისი პრემიერობისთვის. ვაშაძის პრემიერობის კანდიდატურა სამუშაო პროცესში განვიხილე და ერთი ამბავი ატეხეს მის მიმართ.

– კი, მაგრამ, ისევ იმ პარტიამ ატეხა ამბები, რომლის გაერთიანებაშიც თქვენც ხართ და ვაშაძეც. რა შუაშია აქ ბოკერია?

– კი ბატონო. არ უარვყოფ. მე ამ თემას ისევ დავუბრუნდები. იმიტომ, რომ გიორგი ვაშაძე რეფორმატორია.

– კიდევ დააყენებთ ამ საკითხს?

– აუცილებლად, აბა 30-წლიანი ნათაღლითარი ვირუსების გამო, ტვინით გატენილ რეფორმატორზე უარი ვთქვათ?! სად აქვს საქართველოს ეს ფუფუნება. აუცილებლად დავაყენებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა უალტერნატივოდ, რაც არ აწყობს ბოკერიას.

– გეტყვით ბოკერია, მე რა შუაში ვარ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ატეხა ამბავიო...

– არ დაგავიწყდეთ, რომ ბოკერია ხლართებით მოდის ამდენი წელია. ნაციონალური მოძრაობაც ბოკერიამ გახლიჩა და ამას ნუ დავივიწყებთ.

– ნაციონალურ მოძრაობაშიც აქვს გავლენები? ამაზე მიანიშნებთ?

– არა, ხლართვების პროფესია აქვს. სანამ გაარკვევენ ადამიანები, არის ხოლმე რაღაც გაუგებრობა. ჩაწყნარდა მას შემდეგ, რაც ნათელი მოეფინა ამ ყველაფერს. არანაირ შეთქმულებას ადგილი არ ჰქონია.

– ვერ მოვისმინე, რომ ყველაფერი მოგვარდა ამ საკითხის ირგვლივ.

– კი, როგორ არა. რატომ ვერ მოისმინეთ? ვაშაძემ მიიღო მაჟორიტარობის მანდატი.

– მკაფიო განცხადება ვერ მოვისმინეთქი. მაგას გეუბნებით.

– მკაფიოა, აბა რა არის?!

– ამაზე საუბარი დღეს არ არისო და ეს რანაირად არის მკაფიო?

– მიიღო უკვე მესამე მანდატი და დასახელდა მაჟორიტარად. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი დამთავრდა.

– არ ნიშნავს მაგას, ვერ დაგეთანხმებით. როგორც ჩანს, ვერ შევთანხმდებით.

– მიიღო თუ არა მანდატი? მთავარია ნამდვილ ოპოზიციაში მოგვარდეს ყველაფერი. ფსევდოოპოზიცია საქართველოს არ სჭირდება.

ის ჩანაწერი, რაც დადეს და რაზეც მე ვილანძღები, სწორად ვაკრიტიკებ პენიტენციურ სისტემას. ელენე თევდორაძემ თქვა, რომ ციხის ბუნტის დროს სროლის ბრძანება ბოკერიამ გასცაო. აი იმათ ვაკრიტიკებდი მე. იმ ცხრაწლიანი პერიოდიდან მხოლოდ სააკაშვილის აღმშენებლობის რეფორმები უნდა დარჩეს. ეს ფსევდოპოლიტიკოსები, რომლებიც გვერდში ედგნენ და ხან ეკლესიის შენგრევის ბრძანებას იძლეოდნენ და ხან ბუნტზე ბრძანებას აწერდნენ ხელს, ამაზე უნდა გაირკვეს სიმართლე.

– ეკლესიის შენგრევა ახსენეთ და ბარამიძე იყო მინისტრი. მას ხომ არ ურტყამთ?

– არ მაინტერესებს, ვინ იყო. მე არ ვკითხულობ.

სააკაშვილის შემოყვანა საქართველოში არ არის პრობლემა იმ რეფორმირებული კანონმდებლობის ქვეშ, როდესაც იქნება თავისუფალი პროკურატურა და სასამართლო.

– სააკაშვილის დაბრუნება უნდა იყოს მიზანი?

– რა თქმა უნდა. ახლავე ხელს მოვაწერ მის დაბრუნებას საქართველოში იმ მემორანდუმის ქვეშ, რაც ჩვენმა პარტიამ უკვე წარადგინა და რაც გახლავთ თავისუფალი პროკურატურა, თავისუფალი სასამართლო და თავისუფალი აუდიტის სამსახური. ეს მხოლოდ სასარგებლო იქნება ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

„გიორგი შაქარაშვილს თავის ქალა აქვს ჩამტვრეული, მდინარესთან თავისით ვერ მივიდოდა“

„ერთს რკინის ხელკეტი ეჭირა, მეორემ დიდი ქვა აიღო და წამოვიდნენ, რომ დაერტყათ“

– ბიჭები, ვინც გიორგის ცხედარი ნახა, ამბობენ, რომ მას თავის ქალა აქვს ჩამტვრეული და ძალიან ისეთი დაზიანებები აქვს მიყენებული, ოღონდ ეს თავის ქალის გატეხვა რამის ჩარტყმას უკავშირდება თუ გადავარდნას ან დაცემას, მაგაზე კომენტარს ჩვენ ვერც ვაკეთებთ.

ამის შესახებ გიორგი შაქარაშვილის ოჯახის ახლობელმა, ნიკა ჯაჭვაძემ, „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისი თქმით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გიორგი ხიდიდან გადავარდა და შემდეგ მდინარესთან თავად მივიდა, რადგან გადავარდნის შემდეგ მას ისეთი დაზიანებები მიადგებოდა, მდინარემდე დამოუკიდებლად მისვლას ფიზიკურად ვერ შეძლებდა.

– მე პირადად ვერ შევძელი იქ ასვლა, ვერანაირად ვერ ვაიძულე ჩემს თავს, რომ ავსულიყავი ზევით, მაგრამ ბიჭები, ვინც იყვნენ ასულები, ისინი იძახიან, რომ თავის ქალა აქვს ჩამტვრეული და ძალიან ისეთი დაზიანებები აქვს მიყენებული, ოღონდ თავის ქალის გატეხვა რამის ჩარტყმას უკავშირდება თუ გადავარდნას ან დაცემას, მაგაზე კომენტარს ჩვენ ვერც ვაკეთებთ და ვერც რაიმე აზრს ვაფიქსირებთ იქიდან გამომდინარე, რომ ერთი ვარიანტიც შეიძლება იყოს და მეორეც.

ყურის არქონის ვერსია არ ვიცი, ვერ გეტყვით. ჩემთან გაიჟღერა იმ ვერსიამაც, რომ დიდი ხანი რახან იყო წყალში, იყო ის ვერსიებიც, რომ თევზებს მიეყენებინათ პატარ-პატარა დაზიანებები, მაგრამ ასე მთლიანი ყური არ ვიცი... ვერ გეტყვით.

ერთი ვარიანტია, რომ ამ ხიდის ქვეშ, სადაც გიორგის კვალი ქრება, შეიძლება ამ ჯებირიდან გადახტა, დაბლა ჯებირი არის ჩასასვლელი და იქ ხომ არ დაიმტვრა ან თავი რამეს ხომ არ დაარტყა, მაგრამ მეორე ვარიანტიც არის ის, რომ ფიზიკური დაპირისპირების დროს ვინმემ ან რაიმე ჩაარტყა, ან რამე მსგავსი, მაგას არ გამოვრიცხავ, არ გამოვრიცხავ კი არა, ძირითად ვერსიებს თუ განვიხილავთ, შეიძლება 70-80% მაქეთ მიდიოდეს.

თუ გადავარდა, დაზიანებები ექნებოდა, მით უმეტეს, თავი თუ დაარტყა, შესაბამისად ვერსია, რომ მდინარესთან თავისით მივიდა, სისულელეა. 50 მეტრს მდინარემდე როგორ გაივლიდა, გარდა ამისა, მას სიბნელის და წყლის ეშინოდა, – განაცხადა ოჯახის ახლობელმა.

* * *

გიორგი შაქარაშვილის საქმეზე გამოსაკითხი მორაგბეების ადვოკატის, ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, შავი ფერის ტოიოტა ქამრის დაზიანებები, მათ შორის, ჩატეხილი ფარი, ინციდენტამდე ჰქონდა. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში კობაიძე აცხადებს, ავტომანქანას ექსპერტიზა ჩაუტარდა, ასევე დათვალიერდა შემთხვევის ადგილიც.

– თუ რატომ აქვს ავტომანქანას დაზიანებები, ეს კითხვა საგამოძიებო ორგანოსაც აქვს. თუმცა, აღნიშნულ მანქანას სხვადასხვა დაზიანებები აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დაზიანებები იმდროინდელი არ არის, როცა ინციდენტი მოხდა. ამ მანქანას დაზიანებები მანამდეც ჰქონდა, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა. ფარიც აქვს ჩატეხილი და თუ დავაკვირდებით, სხვადასხვა ადგილას შეღუნულებიც არის, ჩემი შეფასებით, აშკარად ეტყობა, რომ ეს ძველი კვალია და ახალი არ არის. არანაირი ალიბი არ გვაქვს, მაგრამ ავტომანქანას ექსპერტიზა ჩაუტარდა, ასევე დაათვალიერეს შემთხვევის ადგილიც და ნახავენ ყველაფერს, – განაცხადა კობაიძემ.

მორაგბეებს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზა ჩაუტარდებათ.

ალექსანდრე კობაიძე აცხადებს, რომ მის კლიენტებს დაზიანებები არ აღენიშნებათ.

– საგამოძიებო ორგანოს სურვილი აქვს, რომ სამედიცინო ექსპერტიზა ჩაგვიტარდეს, მაგალითად, რაიმე ფორმით ხომ არ მოვახდინეთ ვინმეზე ძალადობა ან ჩვენზე ხომ არ მოხდა ძალადობა. სამედიცინო ექსპერტი დათვალიერების შემდეგ გაარკვევს, აღგვენიშნება თუ არა რაიმე ძალადობის კვალი, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი ექსპერტიზაა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს ვიზუალურად არანაირი დაზიანება არ აქვთ, – აღნიშნა ადვოკატმა კობაიძემ.

* * *

ფოტოგრაფი იაკობ ბრეგვაძე გიორგი შაქარაშვილის საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმეა. ის „ინტერპრესნიუსს“ და „პალიტრანიუსს“ ექსკლუზიურად ესაუბრა.

მისივე თქმით, მას არაფერი გადაუღია.

– არ გადამიღია, ნეტა გადამეღო ყველაფერი და დაიხურებოდა საქმე, – განაცხადა ფოტოგრაფმა.

ჩხუბი მისი მისვლიდან 15 წუთში დაიწყო. ის დეტალურად იხსენებს 19 ივნისის ღამეს მომხდარ ფაქტს.

– ავტოსტოპით წავედი, მივედი სადღაც 11:00 საათზე და 15 წუთში მოხდა ჩხუბი, ოღონდ



დაღუპული ფეხბურთელის საქმის ახალი დეტალები

რატომ და რანაირად, აზრზე არ ვარ, ვინები ჩხუბობდნენ. გიორგი არ მონაწილეობდა, გიორგიც შიგნით იყო. ექვსი ბიჭი, ვინც ვიყავით, იქიდან 5 მგონი სახლში იყო, ზუსტად არ ვიცი. ეგენიც მერე გავიცანი და მერე ყველა წავედით იმიტომ, რომ იუბილარი შემოვიდა, ნერვები მოეშალა, ასეთი რაღაც რომ მოხდა, ტიროდა, ძლივს დავაწყნარეთ და წადითო ყველაო და ყველა რომ წავიდა, ჩვენ მოგვიწია ტაქსით წასვლა.

ტაქსი ვერ გამოვიძახეთ, არც ერთი ტაქსი არ მოდიოდა და გავაჩერეთ ტაქსი და ტაქსმა ორ კაცზე მეტს ვერ გაგიყოლებთო. ნეტა ის ორი მაინც წასულიყო. გიორგი მაინც წასულიყო. არ გაყვნენ ტაქსს და ბოლოს ავტოსტოპზე დავდექით და მოვიდნენ ეს ორი ტიპი, ვისთანაც ჩვენ არა, მაგრამ ამათ ჩხუბი მოუვიდათ. ეს ორი ტიპი მოვიდა და ნომრები გაცვალეს, რომ დაგირეკავთ, ხვალ შევხვდეთ და ვილაპარაკოთო. ეგონა, რომ ჩვენ ვიჩხუბეთ და მეორე დღეს რომ გაერკვიათ... ყველა როგორ იტყუება? მოვიდნენ, დადგნენ და ჩვენ წამოვედით თბილისისკენ, რომ უფრო ახლოდან გამოგვეძახებინა ტაქსი, მაგრამ ხიდზე რომ გადმოვედით, ეს ორი ბიჭი მორბის და ამ დროს წინ გაგვიჩერა მანქანამ და ამ მანქანიდან გადმოვიდა სავარაუდოდ ხუთი კაცი, შეიძლება ოთხიც. ზუსტად არ დამინახავს.

ერთს რკინის ხელკეტი ეჭირა, მეორემ დიდი ქვა აიღო და წამოვიდა, რომ დაერტყათ, ყველა რომ ვეცემეთ. ამათ ეგონათ, რომ ჩვენ ისინი ვიყავით, ვინც იქ იყვნენ. არადა საერთოდ სხვა სასტავი ვიყავით, არაფერ შუაში არ ვიყავით. ის ერთი ბიჭი საავადმყოფოშია.

მოკლედ, ყველა გავიქეცით, სამი კაცი გაიქცა ხიდისკენ. ერთი ბიჭი იქვე ბუჩქებში დაიმალა, როგორც მერე გავიგე. მე კამერა ხელში მეჭირა, მანამდე არაფერს არ ვიღებდი ისეთს, ბლოგებს ვიღებ ზოგადად, მაგრამ მაშინ ზოგადად დროის გასაყვანად... ღობეზე გადავხტი და იყო მიტოვებული მშენებარე შენობა. მეორე სართულზე ავედი და რომ ავედი, დავრეკე პოლიციაში.

პოლიციაში რომ დავრეკე, ვუთხარი, რაც მოხდა, როგორც მოხდა და არაგვის ხიდზე მოდით-მეთქი, ხიდზე და სადა�აა. კაროჩე, როცა მორჩა ყველაფერი, მერე მოვიდნენ და მაგ დროს, როცა ჯერ ერთხელ დავრეკე 112-ში, მერე გადმომირეკეს, მერე ვუთხარი კიდე იგივე და მოკლედ, ანუ, ვერ გაიგეს ვერაფერი და ჩამოვდიოდი მაგ დროს, ანუ მანქანა წავიდა მაგ დროს და იყო ორი ბიჭი, ჩვენები და ერთი ნაცემი იყო, ჩავდიოდი, რომ მენახა, დავხმარებოდი და უცებ მეორე მანქანა მოვიდა.

მეორე მანქანა რომ მოვიდა, იქიდანაც გადმოვიდნენ ბიჭები, თქვენი დედაო, კაროჩე, ესენი ცემეს, სხვა მანქანა იყო სავარაუდოდ, არ ვიცი და ეს მანქანა წავიდა, 2 ან 3 წუთში მოვიდა ეს მეორე მანქანა და ესენი ცემეს და რომ დავინახე, მანქანა მოვიდა, ისევ უკან ავბრუნდი, რომ არ დავენახე, იქაც გადასახტომი არ იყო, მეორე სართულზე ვიყავი, ბალახები კი არა, ქვები იყო და მერე ვაფშე რომ აღარაფერი ხდებოდა და არავინ იყო გზაზე, მანქანაც არ დადიოდა, პირველი საათი და რაღაც წუთები იყო, ჩავედი, გადავედი პარალელურ მხარეს, ბათუმისკენ მიმავალ მხარეს და მერე ავედი ტყეში და იქაც დავურეკე, რომ აღარაფერი ხდება და შეგიძლიათ გააუქმოთ მეთქი.

იქიდან რომ ჩამოვედი, მერე მოვიდა პოლიცია, მოვუყევი ეს ყველაფერი და ეს იყო საპატრულო პოლიცია და მეთქი, ვსო, მორჩა ყველაფერი და ერთადერთი შეგიძლიათ, რომ თბილისში წამიყვანოთ და წამიყვანეს თბილისში, – განაცხადა ფოტოგრაფმა იაკობ ბრეგვაძემ.

შეგახსენებთ, რომ მყვინთავებმა გიორგი შაქარაშვილის ცხედარი წყალში 22 ივნისს იპოვეს. 19 ივნისს, დაახლოებით 11:00 საათზე გიორგი შაქარაშვილის დაკარგვის შესახებ ოჯახმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

ჯეირანას და კუსას მხარდაჭერით 1 პირს 8.800 ევროს გადახდა დააკისრეს

შსს-მ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით 6 პირი დააკავეს, ხოლო 4 პირი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად თბილისსა და აჭარის რეგიონში ერთდროულად ჩატარებული კომპლექსური სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, „კანონიერი ქურდობის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით 6 პირი დააკავეს, ხოლო 4 პირი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს. ამის შესახებ განცხადება შსს-ში გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.

უწყების ინფორმაციით, მოსამართლის განჩინების საფუძ-

ველზე დაკავებული არიან: 1964 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ს., 1976 წელს დაბადებული ვ.წ., 1978 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ი.ა., 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.დ., 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ჩ. და 1993 წელს დაბადებული ბ.ქ., 1982 წელს დაბადებულ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ და ამჟამად პატიმრობაში მყოფ მ.მ.-ს კი ბრალი პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა.

ასევე, დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართულ, საზღვარგარეთ მყოფ 2 ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდს – 1977 წელს დაბადებულ ჯეირან კინწურაშვილს – მეტსახელად „ხონსკის“ , 1963 წელს დაბადებულ თამაზ ქარცივაძეს – მეტსახელად „კუსას“ და „ქურდული სამყაროს“ წევრს – 1983 წელს დაბადებულ რ.პ.-ს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და მათი ძებნილად გამოცხადების მიზნით, ტარდება შესაბამისი პროცედურები.

ჯეირან კინწურაშვილსა და თამაზ ქარცივაძეს ბრალი ედებათ „კანონიერ ქურდობაში“, რ.პ.-ს, ბ.ქ.-ს, ი.ჩ.-ს, ლ.დ.-ს., ი.ა.-ს და მ.მ.-ს „ქურდული სამყაროს“ წევრობაში, ვ.წ.-ს – „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის ან „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვაში, ხოლო ა.ს.-ს – „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერაში.

დანაშაულები 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში, ბრალდებულების ნაწილი – „ქურდული სამყაროს“ წევრები, ვალის დაბრუნების მიზნით წარმოქმნილ დავაში, მხარეების მიმართვის საფუძველზე ჩაერთნენ. აღნიშნული დავის გადაწყვეტის მიზნით, ისინი დაუკავშირდნენ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებს ჯეირან კინწურაშვილს – მეტსახელად „ჯეირანას“ და თამაზ ქარცივაძეს – მეტსახელად „კუსას“, რომელთა მხარდაჭერით, ბრალდებული ი.ა.-ს საცხოვრებელ ბინაში „ქურდული გარჩევა“ მოაწყვეს და ერთ-ერთ მოდავე მხარეს 8.800 ევროს გადახდა დააკისრეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს „კანონიერი ქურდობის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

სუსმა ქუთაისის მერიის თანამშრომელი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 24 ივნისს თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, ქუთაისის მერიის ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულმა მოქალაქეს ქუთაისის მერიაში მუშაობის დაწყების სანაცვლოდ 800 ლარი მოსთხოვა, საიდანაც თანხის ნაწილი 400 ლარი წინასწარ გამოართვა.

„გამოძიება მიმდინარეობს, თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი გამოეწვია, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით ითვალისწინებს. გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

აჭარაში კომპანიის ხელმძღვანელი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, ქონების მესაკუთრის მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, აჭარის რეგიონში მოქმედი ერთ-ერთი კომპანიის დირექტორმა და ამავდროულად რამდენიმე კომპანიის ფაქტობრივმა მმართველმა, დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით, მის მფლობელობაში არსებულ კომპანიებს შორის განახორციელა საქონლის ფიქტიური მიწოდებები, ასევე ხის მასალის რეალიზაციასთან დაკავშირებულ სასაქონლო ზედნადებებში შეიტანა ხე-ტყის წარმოშობის და ფირნიშის ყალბი მონაცემები, რითაც სამოქალაქო ბრუნვაში მოაქცია უკანონოდ მოპოვებული 768.775 ლარის ღირებულების 1.338.მ3 მასალა, რითაც მიიღო 106.936 ლარის დღგ-ის უკანონო ჩათვლა.

ბრალდებულმა აღნიშნული უკანონოდ მიღებული ჩათვლა გამოიყენა მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი, 185-ე და 194-ე მუხლების მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12-წლამდე ვადით.

მიხეილ კალანდიას ადვოკატი მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილს ბრალდებებს უყენებს

ხორავას ქუჩაზე მოზარდის დავით სარალიძის ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებული მიხეილ კალანდიას ადვოკატი მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილს ბრალდებებს უყენებს და დამოუკიდებელ ინსპექტორს რეაგირებას სთხოვს.

მთავარი მოთხოვნა წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაა, რომლის თანახმადაც, მოსამართლე მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას სამსახურებრივ მოვალეობას არასათანადოდ ასრულებდა.

ადვოკატი დამოუკიდებელი ინსპექტორისგან სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას მოსამართლე მარსაგიშვილის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარების და სოციალური ქსელის მიმოწერების გამოკვლევას მოითხოვს.

– დისციპლინური დევნის ეტაპზე არის ჩემი საჩივარი მოსამართლე მარსაგიშვილის მიმართ, რომლითაც დასაბუთებული მაქვს გარემოებები, რომ მოსამართლე არ ასრულებს მისადმი დაკისრებულ ფუნქციებს და ნაცვლად იმისა, რომ მოუსმინოს მხარეებს, მოწმეებს და მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, დაკავებულია და სოციალური ქსელებით ერთობა, – განაცხადა მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ.

იენს სტოლტენბერგი: „აშშ-ის ჯარისკაცების ყოფნა ევროპაში მნიშვნელოვანია ნატოსთვის“



– დონალდ ტრამპს ვესაუბრე და ვუთხარი, რომ აშშ-ის ჯარისკაცების ყოფნა ევროპაში მნიშვნელოვანია ნატოსთვის. ეს მნიშვნელოვანია ევროპისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია ასევე შეერთებული შტატებისთვის.

ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გამოცემა „დოიჩე ველესთან“ განაცხადა.

მისივე თქმით, მშვიდობა და სტაბილურობა ევროპაში აძლიერებს ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოებას.

– მე ვესაუბრე პრეზიდენტ დონალდ ტრამპს მანამ, სანამ ის გერმანიიდან 9.500 ჯარისკაცის შესახებ განცხადებას გააკეთებდა და ვუთხარი, რომ აშშ-ის ჯარისკაცების ყოფნა ევროპაში მნიშვნელოვანია ნატოსთვის. ეს მნიშვნელოვანია ევროპისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია ასევე შეერთებული შტატებისთვის. მშვიდობა და სტაბილურობა ევროპაში აძლიერებს ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოებას, – განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.

სტოლტენბერგის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ ალიანსის წევრი ქვეყნები ერთად იდგებიან და ერთმანეთს მხარს დაუჭერენ.

– მტკიცედ მწამს, რომ ერთად უნდა ვიდგეთ. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის გეგმასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არაა. მისივე თქმით, შეერთებული შტატები მოკავშირეებთან კონსულტაციებს გაივლის და რომ აშშ ევროპის უსაფრთხოების საკითხის მიმართ ერთგული რჩება, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ფხენიანი სეულის წინააღმდეგ „სამხედრო მოქმედებას“ წყვეტს

ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ „სამხედრო მოქმედების“ გეგმა შეწყვიტა.

ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურმა სამხედრო კომისიამ შეხვედრა გამართა, რომელსაც კიმ ჩენ ინი უძღვებოდა. შეხვედრის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ „არსებული სიტუაციის“ გათვალისწინებით, კომისიამ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ „სამხედრო მოქმედების“ შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო.

ორ კორეას შორის ურთიერთობა ბოლო პერიოდში მას შემდეგ დაიძაბა, რაც ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინსა და აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შორის ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ჩაიშალა. ერთი კვირის წინ ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეის საზღვართან, ქალაქ კესონთან ერთობლივი სამეკავშირეო ოფისი ააფეთქა და დემილიტარიზაციის ზონაში ჯარის გაგზავნით დაიმუქრა.

ფხენიანმა ამ მოქმედების მიზეზად სამხრეთკორეელების მიერ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება დაასახელა. ორი დღის წინ კი ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ „საპასუხო სასჯელად“ 12 მილიონი პროკლამაცია დაამზადეს.

მექსიკაში მომხდარ მიწისძვრას 6 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა

მექსიკაში, ოახაკას შტატში მომხდარ მიწისძვრას სულ მცირე 6 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რამდენიმე კი დაშავდა.

მიწისძვრამ შტატის მთიან რაიონებში მდებარე სოფლებში ნგრევა გამოიწვია.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ სან პედრო პოჩუტლას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 69 კილომეტრში მდებარეობდა, მისმა სიმძლავრემ კი 7.4 მაგნიტუდა შეადგინა.

ცნობისათვის, მიწისძვრა ოახაკას შტატში ადგილობრივი დროით 10:29 საათზე მოხდა.

მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა დედაქალაქ მეხიკოშიც, რომელიც ეპიცენტრიდან რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

შენგელიას ნახევარფინალში გასასვლელად ტენერიფე დაეხმარა

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური ფაზა დასასრულს უახლოვდება. ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურში, დრამატული მატჩი მოიგო თორნიკე შენგელიას ბასკონიამ, რომელმაც უშუალო მეტოქე უნიკახა ოვერტაიმში დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა.

საოცარი სანახავი იყო დამატებითი დროის ბოლო წამები: დასკვნით 60 წამში გუნდებმა სამქულიანები გაცვალეს. ბასკონიას გამთანაბრებელი სამიანის შემდეგ ტაბლოზე 86:86 დაფიქსირდა. შეტევა მალაგელებს დარჩათ, რომლებმაც ჯერ სამქულიანი ვერ ჩააგდეს, მაგრამ ფარიდან ასხლეტილ ბურთს კვლავ დაეუფლნენ, თუმცა მეორედაც არაზუსტად შეუტიეს. ბოლო 6 წამში ბურთი შენგელიამ მიიღო, მეტოქის ნახევარზე გადაიტანა და ფარქვეშ სრულიად უმეთვალყურო პოლონარას გადააწოდა. მართალია, მან ბურთის ჩაგდება ვერ მოახერხა, მაგრამ ჯარიმის ხარჯზე და სირენამდე 1 წამით ადრე 2-დან 1 ჩააგდო და – 87:86 ბასკონიას სასარგებლოდ.

შენგელიამ 27 წუთში 9 ქულა, 7 პასი და 4 მოხსნა მოაგროვა. თუმცა, სროლის პროცენტული მაჩვენებელი არცთუ სახარბიელო ჰქონდა. ბასკონიას ბომბარდირი 14 ქულით თბილისის ვითას ყოფილი კალათბურთელი პიერია ჰენრი გახდა.

შენგელიას ბასკონია ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში ნაადრევად გავიდა და ამაში მას გიორგი შერმადინის ტენერიფე დაეხმარა. თუმცა, ქართველის გარეშე.

ბასკონიელებმა უშუალო კონკურენტი ხუვენტუდი შერმადინის გუნდს დაუპირისპირდა და წაგების შემთხვევაში ჯგუფის საუკეთესო 2 გუნდში მოხვედრის შანსს კარგავდა. ხუვენტუდმა 80:82 წააგო, თანაც ტენერიფელთა შესუსტებულ შემადგენლობასთან – შერმადინსა და კუნძულელთან ძირითად გამთამაშებელ მარსელინიო ჰუერტასს არ უთამაშიათ, რადგან გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი 3 ტურში უკვე დაკარგული ჰქონდა.

ამგვარად, შენგელიას ბასკონია ბარსელონას შემდეგ ა ჯგუფში მე-2 ადგილზეა და ბოლო ტურის მიუხედავად ასევე დარჩება.

ბ ჯგუფში კი, ფლეი ოფში გასვლის შანსი ბექა ბურჯანაძის გრან კანარიასა და თად მაკფადენის ბურგოსს აქვთ. ბურჯანაძის გუნდი მე-4 ტურში აუტსაიდერ სარაგოსას ხვდება, ხოლო მაკფადენის გუნდი ფავორიტსა და ფინალური ტურნირის მასპინძელ ვალენსიას.

სანე და ბაიერნი ერთმანეთს მიუახლოვდნენ

მიუნხენის ბაიერნის ხელმძღვანელობა ლეროი სანეს ტრანსფერისათვის ბრძოლას აგრძელებს. ბოლო ცნობების თანახმად, ბავარიელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ მანჩესტერ სიტის 40 მილიონი ევრო შესთავაზეს.

შეთანხმება მიღწეული არ არის, მოლაპარაკებების პროცესი კი კვლავაც გრძელდება და ბაიერნი ინგლისური კლუბის პასუხის მოლოდინშია. ბრიტანელები კარგად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თუ ფეხბურთელს მიმდინარე ზაფხულში არ გაყიდიან, მაშინ მომავალ წელს იგი თავისუფალი აგენტის სტატუსს მოიპოვებს და ასე გაიყრება მათი გზები.

იმას, რომ ფეხბურთელი დაინტერესებულია კლუბის გამოცვლით, პეპ გვარდიოლაც ადასტურებს. რამდენიმე დღის წინ გამოცდილმა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში შემდეგი შინაარსის კომენტარი გააკეთა:

– სანეს არ სურს კონტრაქტის გახანგრძლივება. თუ მას უნდა წასვლა, ეს ამ ზაფხულს მოხდება, ან მას შემდეგ, რაც არსებულ ხელშეკრულებას ვადა ამოეწურება. მან უარი თქვა სიტისთან ახალ კონტრაქტზე. მისი სურვილი სხვა კლუბში ასპარეზობაა. თუ კლუბები შეთანხმებას მიაღწევენ, ეს ტრანსფერი ზაფხულშივე შედგება, თუ არა, მაშინ სანე დარჩება სიტიში მანამ, სანამ ამას არსებული ხელშეკრულება ითვალისწინებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

მამაკაცმა მისთვის შეცდომით გადარიცხული ფულით ისარგებლა და სახლი აიშენა

კენიელმა საკუთარ საბანკო ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული 800 ათასი შილინგი აღმოაჩინა, ამ ფულით ისარგებლა და სახლი აიშენა.

მყიდველმა ჯონ მუნენე ნიერუსგან მიწის ნაკვეთი შეიძინა და მას ამისთვის ფული გადაურიცხა. საბანკო ანგარიშის მიწოდების დროს გამყიდველს ერთი ციფრი შეეშალა და ამის შედეგად ფული სულ სხვა კენიელს მორის მურანგირის ჩაერიცხა.

საკუთარ ანგარიშზე მსხვილი თანხის აღმოჩენის შემდეგ, მურანგირიმ 2019 წლის 5 დეკემბრიდან 2020 წლის 2 იანვრის დროში ბანკის განყოფილებიდან მისთვის შეცდომით ჩარიცხული ფული მოხსნა და სახლის მშენებლობაზე დახარჯა.

როდესაც ნიერუმ აღმოაჩინა, რომ ფული მას არ ჩარიცხვია, შენობა უკვე აგებული იყო. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მურანგირის მიგნება არ გასჭირვებიათ და ის დააპატიმრეს.

მთავარი მოსამართლის მაქსველ გიჩერუს წინაშე წარმდგარმა მურანგირიმ დანაშაულის ჩადენა აღიარა და ითხოვა, რომ მის მიერ უკანონოდ დახარჯული თანხის ხელფასიდან თანდათანობით დაფარვის უფლება მიეცათ. სასამართლომ ბრალდებულის თხოვნა არ დაკმაყოფილა, ვინაიდან მის მიერ ასეთი ფორმით ფულის გადახდას მრავალი წელი დასჭირდება. მოსამართლემ დაადგინა, რომ მურანგირიმ სწრაფად უნდა დააბრუნოს ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში მას პატიმრობა მიესჯება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ანანური საფრთხეშია

ამ ინფორმაციას „საყდრისის კომიტეტი“ ავრცელებს და ანანურის სამონასტრო კომპლექსში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობასთან დაკავშირებით საზოგადოებას აფრთხილებს:

– როგორც უკვე საზოგადოებისთვის ცნობილია, 2019 წლის 18 ივლისს „საყდრისის კომიტეტის“ წევრებმა გაავრცელეს საკუთარი ვიდეოკადრები, სადაც კარგად ჩანდა, როგორ აზიანებდა ტურისტების უკონტროლო გადაადგილება კომპლექსის ისედაც ჩამოშლილ გალავანს და ქონგურებს. აქტივისტების თქმით, განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში იყო კოშკების სახურავები და ღვთაების ტაძრის ფრესკები.

„საყდრისის კომიტეტის“ მოთხოვნით, 29 ივლისს ვითარების ადგილზე გასაცნობად ანანურში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობა ჩავიდა, მოგვიანებით ანანურში იმყოფებოდნენ სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე და საპატრიარქოს წარმომადგენლები. გადაწყდა, კომპლექსის რეაბილიტაციამდე ძეგლის დაზიანებული ადგილები შეფუთულიყო და შეზღუდულიყო ტურისტების გადაადგილებაც, გარდა ამისა, შეიქმნა უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელსაც ანანურის სამონასტრო კომპლექსში ვითარების გამოსწორების სამოქმედო გეგმა უნდა დაესახა, სამწუხაროდ, ჯგუფი პირველი შეხვედრის შემდეგ აღარ შეკრებილა.

2019 წლის შემოდგომაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ კომპლექსის დაზიანებული ნაწილები შეფუთა.

2020 წლის 23 ივნისს „საყდრისის კომიტეტი“ მონიტორინგის მიზნით ანანურში იმყოფებოდა.

ადგილზე ჩასულებს ვითარება კვლავ საგანგაშო დაგვხვდა. როგორც ტაძარში მომსახურე დედაოები აღნიშნავენ, ამკრძალავი ბარიერები ერთხანს ნამდვილად აკავებდნენ ტურისტებს, თუმცა, შემდგომ გახშირდა ამ ბარიერების გარღვევის ან შემოხვევის ფაქტები და ძეგლის დამთვალიერებელთა უკონტროლო გადაადგილებაც განახლდა, განსაკუთრებით, კოშკებში.

ერთი წლის შემდეგაც კვლავ მძიმე მდგომარეობაა ღვთაების ტაძარში, სადაც მიწიდან ამოსული წყალი მუდმივად მოედინება ტაძრის ძველ იატაკზე, რის გამოც ტაძარში მუდმივად იგრძნობა ნესტი, რაც კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის ისედაც დაზიანებულ უნიკალურ ფრესკებს.

ტაძარში საფლავთან სვეტს, სადაც ძველი ქართული ტექსტია ამოტვიფრული, ორ ადგილას აკლია ქვები. სამწუხაროდ, არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, ქვები სპეციალურად არის ამოღებული თუ დაზიანების გამო ჩამოიყარა. მონასტერში არ იციან, სად წავიდა სვეტის ქვები, როგორც ადგილზე შევიტყვეთ, სავარაუდოდ, ჩანგრეული უნდა იყოს „შეუპოვარის“ კოშკის ხის ძელებიც.

„საყდრისის კომიტეტი“ მოუწოდებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, ასევე მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, დროულად მიიღოს ზომები კომპლექსში კონტროლის გაძლიერებისთვის და დაიწყოს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაანონსებული ანანურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მამაკაცმა სიდედრს ესროლა და თავის მოკვლა გადაიფიქრა

ტაილანდის პროვინციაიუტხაიტხანიში ქმარმა ცოლის მოკვლა სცადა, მაგრამ ქალი დედამ გადაარჩინა.

როდესაც პოლიცია შემთხვევის ადგილზე მივიდა, მამაკაცი თავის მოკვლას ცდილობდა. სამართალდამცავები ნახევარი საათი ცდილობდნენ მის დამშვიდებას. ის მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როდესაც მისი პატარა გოგონა მიიყვანეს. გოგონა მამას დაპირდა, რომ ციხეში მუდმივად მოინახულებდა. ამის შემდეგ მამაკაცმა თავის მოკვლა გადაიფიქრა, პისტოლეტი დადო და ბოდიშის მოხდა დაიწყო.

მამაკაცი ამტკიცებს, რომ ცოლის მოკვლა სურდა, ვინაიდან ის მას ღალატობდა. მისი თქმით, იარაღის დანახვაზე ცოლი და სიდედრი მას თავს დანებით დაესხნენ და იძულებული გახდა, თავი დაეცვა. მან გაისროლა და ტყვია სიდედრს მოარტყა. დაჭრილი ქალი გადარჩა, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ცოლის ვერსია კი სრულიად საწინააღმდეგოა. მისი მტკიცებით, ის და მისი მეუღლე ხშირად ჩხუბობდნენ იმის გამო, რომ ის ნარკოტიკებს იღებდა. ამიტომ ქალი დედასთან გადავიდა და ერთი თვე მასთან ცხოვრობდა. ქმარი მათთან მივიდა, დაინახა, რომ ის ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკებოდა, ამოიღო პისტოლეტი და ესროლა, მაგრამ მას დედა გადაეფარა და გადაარჩინა.

სიზმარმა მამაკაცი მილიონერად აქცია

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრები ამტკიცებს, რომ ის მილიონერად წინასწარმეტყველურმა სიზმარმა აქცია.

ავსტრალიელმა ტეტსლოტოს გათამაშების ლატარიის ბილეთი შაბათს, 13 ივნისს შეიძინა და გადაავიწყდა.

– ეს მეტად უცნაური იყო! – ყვება მამაკაცი, – კვირა ღამეს დამესიზმრა, რომ ლატარიაში გავიმარჯვე, ხოლო მოგებული ფული ჩემი ოჯახის სახლის ბაღის კეთილმოწყობას მოვახმარე.

დილით გაღვიძებულმა მამაკაცმა ნანახი სიზმარი ცოლს მოუყვა. მან მაშინვე ჰკითხა, შეამოწმა თუ არა მან ბილეთი.

– საერთოდ აღარ მახსოვდა, – ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა.

– მომგებიანი კომბინაცია ინტერნეტში ვნახე და მისი ჩემ ბილეთთან შედარება დავიწყე. როდესაც მეექვსე ციფრიც შევამოწმე, ვიფიქრე, რომ შეიძლება ვცდებოდი. მე ბილეთი შევამოწმე, შემდეგ გადავამოწმე, – იხსენებს ლატარიის გამარჯვებული, – მხოლოდ ამის შემდეგ გავაცნობიერე, რომ სიზმარი ამიხდა!

მამაკაცის მოგებამ 1,2 მილიონი ავსტრალიური დოლარი შეადგინა. მან აღნიშნა, რომ ის, ისევე, როგორც სიზმარში ნახა, აპირებს ოჯახს ბაღის კეთილმოწყობაში დაეხმაროს.

პითონმა მეგობრების ჯგუფს ჩამორჩენილი სტუდენტი მოკლა

ინდონეზიის პროვინცია სამხრეთ-აღმოსავლეთ სულავესიში შვიდმეტრიანმა პითონმა გაგუდა მოზარდი, რომელიც მეგობრებთან ერთად ლაშქრობაში იმყოფებოდა.

16 წლის სტუდენტი ალფიანი ოთხ მეგობართან ერთად სალაშქროდ გაემართა. გზაში ის ჯგუფს ჩამოსცილდა და ჩანჩქერისკენ გაემართა. გზაში მას 6,7 მეტრიანი პითონი დაესხა თავს.

ქვეწარმავალი მოზარდს შემოეხვია და გაგუდა. ადგილობრივ პოლიციას აცნობეს, რომ მეგობრებმა ალფიანის ყვირილი გაიგონეს. გველმა მას ბარძაყზე უკბინა და კისერზე შემოეხვია. ორი მეგობარი შეეცადა მას დახმარებოდა და პითონს ცემა დაუწყეს. გველმა თავის დასაცავად ისინიც დაკბინა.

მეგობრებმა დასახმარებლად ადგილობრივებს უხმეს. ადგილზე მისულებმა ქვეწარმავალი მაჩეტეთი მოკლეს. როდესაც მოზარდი გველის მარწუხებიდან გაათავისუფლეს, ის უკვე მკვდარი იყო.

პითონის მიერ დაკბენილი ახალგაზრდები ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველოში ფეხბურთი ბრუნდება

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, დღეს საქართველოში ფეხბურთი ბრუნდება. ეროვნული ლიგის 2020 წლის გათამაშება 110-დღიანი პაუზის შემდეგ განახლდება. ცხადია, უმაყურებლოდ...

მსოფლიო პანდემიის გამო, ჩემპიონატი 8 მარტის შემდეგ შეჩერებული იყო, მანამდე კი მხოლოდ 2 ტური გაიმართა. განახლებულ ჩემპიონატში ფორმატი შეცვლილია – 4 წრის ნაცვლად, გუნდები ერთმანეთს 2-ჯერ შეხვდებიან.

ჯერჯერობით, რთულია რამის თქმა – არავინ იცის, პანდემიამ და დასვენებამ გუნდებზე როგორ იმოქმედა და ვინ როგორ ფორმაშია. ყველაფერს მალე შევიტყობთ.

ახლა კი მესამე ტურის განრიგი.

25 ივნისი

საბურთალო-დინამო (თბ)

18:00. თბილისი. მიხეილ მესხი

ელიგა ტურის ცენტრალური მატჩითა და თბილისური დერბით განახლდება. შეხვედრა დიდი ტკივილის ფონზე ჩაივლის – გეცოდინებათ, რამდენიმე დღის წინ მდინარე არაგვში გარდაცვლილი იპოვეს საბურთალოს აკადემიის აღზრდილი გიორგი შაქარაშვილი... საბურთალოსა და დინამოს ფეხბურთელები მოედანზე სპეციალურად დამზადებული შავი მაისურებით გამოვლენ, ხოლო მატჩს შავი ლენტებით ითამაშებენ.

ორივე გუნდი პრეტენზიას ჩემპიონობაზე აცხადებს და ამის საფუძველიც აქვთ. თუმცა, შეხვედრას საბურთალო უფრო ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება. „ქალაქელთა“ ერთ-ერთი დანაკლისი გიორგი გაბედავაა, რომელიც სწორედ დინამოში გადავიდა. გერმანიიდან დროულად ვერ დაბრუნდა ლევან ყენია – ფეხბურთელი იქ ცხოვრობს. სხვა მოთამაშეებმა კი, 2-კვირიანი კარანტინ-შეკრება სრულად გაიარეს.

გაბედავა დინამოში კი გადავიდა, მაგრამ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, სანამ კორონავირუსზე ხელმეორე ტესტირებას არ გაივლიდა, ამიტომ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვერ ვიხილავთ. საქართველოში დაბრუნდნენ სლოვაკი შემტევი ფილიპ ორშულა და ტოგოელი მცველი საიმონ ბენიო, მაგრამ სავალდებულო 2-კვირიან კარანტინში იმყოფებიან და გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან.

საბურთალოსა და დინამოს მატჩების ისტორია 17 შეხვედრას ითვლის. 6 შემთხვევაში საბურთალოელებმა იმარჯვეს, 8-ჯერ დინამოელებმა მოიგეს, 3 შემთხვევაში კი, მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 0:0 მორჩა.

დინამო (თბ)-თელავი

21:00. ბათუმი. ანგისას ბაზა

რთული წარმოსადგენია ბათუმის დინამოს საშინაო მატჩის ხილვა მაყურებლების გარეშე, მაგრამ რეგულაციების თანახმად, იძულებული არიან ეს ნაბიჯი გადადგან. ვნახოთ, როგორი იქნება დინამოს სულისკვეთება გულშემატკივრების გარეშე, რომლებიც ძალიან დიდ მუხტს იძლეოდნენ თამაშის მიმდინარეობისას.

ზღვისპირული გუნდი ჩემპიონობის ფავორიტთა შორის არის. გია გეგუჩაძის გუნდს მხოლოდ ერთი დანაკლისი აქვს – კარიერა დაასრულა ნიკა საბანაძემ. თუმცა, მის ნაცვლად გუნდმა თბილისის მერანის მთავარი მეგოლე გიორგი ნიქაბაძე დაიმატა. სხვა ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და ჯანმრთელად.

თელავი დებიუტანტია. გუნდის მთავარი ამოცანა ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა. კახელებს ამის ძალა აქვთ – გუნდმა ჩემპიონატის შეწყვეტამდე სენსაციური შედეგიც შემოგვთავაზა, როდესაც თბილისის დინამოს სტუმრად ფრე ეთამაშა. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა, თელავური გუნდი იგივეს გაკეთებას ისევ დინამოსთან, ამჯერად უკვე – ბათუმის.

26 ივნისი

ლოკომოტივი-მერანი

21:00. თბილისი. მიხეილ მესხი 2

ლოკომოტივი ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჩემპიონატის სტარტზე ქულა არ დაუკარგავს და ორივე შეხვედრა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო. თუმცა, მას შემდეგ გუნდში სამწვრთნელო ცვლილება მოხდა – ლევან კორღალიძის ნაცვლად სოსო ფრუიძე დაინიშნა.

ფრუიძე გამოცდილი სპეციალისტია, მაგრამ რა ცვლილებებს მოახდენს გუნდის სათამაშო სტრუქტურაში და როგორ მოერგებიან ახალ ტაქტიკას ფეხბურთელები, საკითხავი ეს არის. მიუხედავად ამისა, ლოკო მაინც ფავორიტად რჩება. მით უფრო, რომ გუნდმა დაიბრუნა ვატო არველაძე, რომელიც პოლონურ ექსტრაკლასში თამაშობდა.

მერანი დებიუტანტია, თანაც დანაკლისით – გუნდის ბომბარდირმა ნიქაბაძემ კარიერის გაგრძელება ბათუმის დინამოში არჩია. თუმცა, გამოცდილი და მებრძოლი გუნდია, რომელსაც სიურპრიზები შეუძლია და ეს ბათუმში დინამოსთან მატჩშიც დაამტკიცა.

27 ივნისი

დილა-სამტრედია

21:00. გორი. თენგიზ ბურჯანაძე

ორივე გუნდში მრავლად არიან ლეგიონერები. შესაძლოა, პანდემიის გამო რამდენიმე მათგანი მოედანზე ვერ ვიხილოთ, რადგან გარკვეული პროცედურების გავლა მოუწიათ. ამიტომ, ფავორიტის დასახელებისგან თავს შევიკავებთ.

გუნდებს მაღალ ადგილებზე ბრძოლის პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ. უფრო ლიგაში დასარჩენად იბრძოლებენ, ამიტომ, ყველა ქულას ოქროს ფასი ექნება.

28 ივნისი

ტორპედო-ჩიხურა

21:00. ქუთაისი. რამაზ შენგელია

ერთ დროს ევროთასებზე მოთამაშე გუნდები ახლა ცხრილის ფსკერზე არიან. მეტიც, ტორპედოს ჯერ გოლიც არ გაუტანია. ჩემპიონატის შეწყვეტამდე ორივე გუნდი სუსტად გამოიყურებოდა. იმერულ დერბიში უპირატესობას ტორპედოს მივანიჭებდით, მატჩი მაყურებლების დასწრებით რომ ტარდებოდეს...

სატურნირო ცხრილი:

1.ლოკომოტივი	2	2	0	0	6-2	6
2.დილა	2	1	1	0	3-1	4
3.საბურთალო	2	1	1	0	2-1	4
4.სამტრედია	2	1	0	1	2-3	3
5.დინამო (ბთ)	2	0	2	0	1-0	2
6.თელავი	2	0	2	0	1-1	2
7.დინამო (თბ)	2	0	2	0	1-1	2
8.მერანი	2	0	2	0	0-0	2
9.ჩიხურა	2	0	0	2	2-5	0
10.ტორპედო	2	0	0	2	0-3	0

რამოსი ხელფასის გაზრდას ითხოვს

ინფორმაციით, სერხიო რამოსმა მადრიდის რეალს ახალი ულტიმატუმი წაუყენა. როგორც ჩანს, კაპიტანი ხელშეკრულების 2022 წლამდე გახანგრძლივებას თანხმდება, მაგრამ ახალი მოთხოვნა აქვს.

საუბარი, რომელიც სერხიოსა და „ბლანკოსს“ შორის კონტრაქტის 2023 წლის 30 ივნისამდე გახანგრძლივებაზე მიმდინარეობდა, დასრულებულია. შეთანხმება მხოლოდ 1–წლიან გახანგრძლივებას მოიცავს და ვადა 2022 წლის ზაფხულში ამოიწურება.

სერხიო რამოსის ძმა მზად არის, ახალი კონტრაქტის ყველა დეტალზე თანხმობით გამოვიდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში რეალის კაპიტნისთვის ხელფასის 1 მილიონი ევროთი გაზრდა მოუწევს.

სადღეისოდ, რამოსი ეკონომიკური კრიზისის გამო შემცირებულ ხელფასს არის დათანხმებული, მაგრამ ახლა გაუმჯობესებულ პირობებს ითხოვს.

რამოსის ოჯახი თვლის, რომ 2022 წლამდე კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დათანხმება მათი მხრიდან კომპრომისია, ახლა კი კომპრომისზე პერესიც უნდა წავიდეს.

გიოტცემ მშობლიური კლუბი მეორედ დატოვა

დორტმუნდის ბორუსიას ნახევარმცველი მარიო გიოტცე, გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ამის შესახებ გერმანული მედია საუბრობს. შეგახსენებთ, 34-ე ტურში დორტმუნდი საფეხბურთო კლუბ ჰოფენჰაიმს შეხვდება. მატჩი 27 ივნისს არის ჩანიშნული.

მედიის ინფორმაციით, ფეხბურთელმა სახლში გამგზავრების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პირველი შვილი შეეძინა. ბუნდესლიგის რეგლამენტის თანახმად კი, ასეთ შემთხვევაში გუნდურ ვარჯიშებში მონაწილეობის მიღებაც ეკრძალება. მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ გიოტცე ხშირად იმყოფებოდა საავადმყოფოში საკუთარ მეუღლესთან.

გიოტცე დორტმუნდის აღზრდილი ფეხბურთელია და ამ კლუბის ღირსებას 2008 წლიდან იცავდა. გამონაკლისი იყო 2013-16 წლების პერიოდი, როდესაც მარიო მიუნხენის ბაიერნში გადავიდა. თუმცა, კვლავ მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა და მაშინდელმა სატრანსფერო თანხამ 22 მილიონი ევრო შეადგინა.

მიმდინარე სეზონში გიოტცემ 15 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 3 გატანილი გოლითაც გამოირჩა. 28 წლის შემტევი სულ მალე თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. სად განაგრძობს იგი ასპარეზობას, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

23 ივნისი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

ლესტერი-ბრაიტონი 0:0

ტოტენჰემი-ვესტ ჰემი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	30	27	2	1	66-21	81
2.სიტი	30	20	3	7	76-31	63
3.ლესტერი	31	16	7	8	59-29	55
4.ჩელსი	30	15	6	9	53-40	51
5.მანჩესტერი	30	12	10	8	45-31	46
6.ვოლვზი	30	11	13	6	43-34	46
7.ტოტენჰემი	31	12	9	10	50-41	45
8.შეფილდი	30	11	11	8	30-28	44
9.კრ.პალასი	30	11	9	10	28-32	42
10.არსენალი	30	9	13	8	41-41	40
11.ბარნლი	30	11	6	13	34-45	39
12.ევერტონი	30	10	8	12	37-46	38
13.ნიუკასლი	30	10	8	12	28-41	38
14.საუთჰემპტონი	30	11	4	15	38-52	37
15.ბრაიტონი	31	7	12	12	34-41	33
16.უოტფორდი	30	6	10	14	28-45	28
17.ვესტ ჰემი	31	7	6	18	35-54	27
18.ბორნმუთი	30	7	6	17	29-49	27
19.ასტონ ვილა	30	7	5	18	35-58	26
20.ნორვიჩი	30	5	6	19	25-55	21

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ხეტაფე 1:1

ლევანტე-ატლეტიკო 0:1

ბარსელონა-ბილბაო 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	31	21	5	5	70-31	68
2.რეალი	30	19	8	3	57-21	65
3.ატლეტიკო	31	14	13	4	39-22	55
4.სევილია	31	14	11	6	44-32	53
5.ხეტაფე	31	13	10	8	40-29	49
6.ვილიარეალი	31	14	6	11	49-40	48
7.სოსიედადი	30	14	5	11	47-38	47
8.ვალენსია	30	12	10	8	41-43	46
9.გრანადა	31	12	7	12	37-36	43
10.ბილბაო	31	10	12	9	33-27	42
11.ლევანტე	31	11	5	15	37-44	38
12.ოსასუნა	30	8	11	11	35-46	35
13.ალავესი	30	9	8	13	31-45	35
14.ბეტისი	30	8	10	12	40-48	34
15.ვალიადოლიდი	31	7	13	11	26-36	34
16.სელტა	30	6	12	12	28-35	30
17.ერიბარი	30	7	8	15	31-47	29
18.მალიორკა	30	7	5	18	29-50	26
19.ლეგანესი	31	5	10	16	23-44	25
20.ესპანიოლი	30	5	9	16	26-49	24

იტალია. სერია ა

ვერონა-ნაპოლი 0:2

სპალი-კალიარი 0:1

ჯენოა-პარმა 1:4

ტორინო-უდინეზე 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	27	21	3	3	52-24	66
2.ლაციო	26	19	5	2	60-23	62
3.ინტერი	26	17	6	3	51-25	57
4.ატალანტა	26	15	6	5	74-35	51
5.რომა	26	13	6	7	51-35	45
6.ნაპოლი	27	12	6	9	43-36	42
7.პარმა	27	11	6	10	37-33	39
8.მილანი	27	11	6	10	32-35	39
9.ვერონა	27	10	8	9	31-29	38
10.კალიარი	27	9	8	10	43-42	35
11.ბოლონია	27	9	7	11	38-44	34
12.სასუოლო	26	9	5	12	42-43	32
13.ფიორენტინა	27	7	10	10	33-37	31
14.ტორინო	27	9	4	14	30-46	31
15.უდინეზე	27	7	7	13	21-38	28
16.სამპდორია	26	7	5	14	29-46	26
17.ჯენოა	27	6	7	14	32-51	25
18.ლეჩე	27	6	7	14	35-60	25
19.სპალი	27	5	3	19	20-45	18
20.ბრეშა	27	4	5	18	23-50	17

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-მალაგა 0:0

ელჩე-დეპორტივო 0:1

ესტრემადურა-სარაგოსა 1:2

პორტუგალია. ჰიმეიჩა ლიგა

სეტუბალი-რიუავე 1:2

ბენფიკა-სანტა კლარა 3:4

პორტუ-ბოავიშტა 4:0

შვეიცარია. სუპერლიგა

თუნი-იანგ ბოიზი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-აუსტრია 0:2

ალტახი-მატერსბურგი 1:1

სტ.პოლენი-ტიროლი 1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

სპარტა-ბანიკი 3:2

ზლინი-პრუიბრჟამი 1:0

კარვინა-ოპავა 0:0

სიგმა-ტეპლიცე 0:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

არკა-ზაგლებიე 3:2

კორონა-ჩენსტოხოვა 0:1

ვისლა-პლოცკი 1:0

ლოძი-გურნიკი 1:3

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 2. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 3. ტყვიის შემცველი მინერალი; 4. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 5. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 6. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 11. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ჯიშის ძაღლი; 13. საყოველთაოდ ცნობილი, გაცვეთილი ჭეშმარიტება; 14. მრავალხმიანობა მუსიკაში; 15. ფერმწერი, რომელიც ზღვის ხედებს ხატავს; 17. რაიმეს ზღვრული ნორმა; 18. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 19. იაპონური ხის ქოშები.

თარაზულად: 7. პოპულარული ქართული ქალაქური სიმღერა; 8. ღამაზად წერის ხელოვნება; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე სამცხე-ჯავახეთში; 10. ქართველი მგოსანი; 12. ხის ორი ფირფიტისგან შემდგარი, მუსიკალური ტკაცუნა, ესპანური ცეკვების აკომპანირებისათვის; 14. გეომეტრიული ფიგურა; 16. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 18. ხევსურული ტანსაცმელი; 20. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად. 21. რაიონული ცენტრი რაჭაში; 22. მოსამართლე ძველად საქართველოში; 23. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 24. იაპონური რესტორანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იალბუზი; 2. გაგარინი; 3. მოხელე; 4. ქცევა; 5. ჯაყელები; 8. „ბარახასი“; 12. რომი; 13. პოლემიკა; 14. ბრინჯი; 16. დარიალი; 18. კოდაი; 20. ჯუნო.

თარაზულად: 6. საფიჩხია; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. ნუბია; 10. ფიტარეთი; 11. აფერისტი; 15. სოლისიტორი; 17. ფიესტა; 19. ჯორჯტაუნი; 21. მიურიდი; 22. საკვოიაჟი; 23. კოსმოსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაროდია; 2. ჩხუტი; 3. კაკანათი; 4. მალაგა; 5. ავსტრია; 6. ნოკაუტი; 11. იგავი; 13. რუსტიკა; 14. კონსტებლი; 15. ცუგცვანგი; 17. „რიბოკი“; 18. კოზაკი; 19. ჯამე.

თარაზულად: 7. მარეხი; 8. საქართველო; 9. „ტოიოტა“; 10. მალაქიტი; 12. საფრანგეთი; 14. კვარცი; 16. კრასნოვი; 18. კინოლოგი; 20. აზოტი; 21. თვე; 22. კონკლავი; 23. შუნი; 24. მემორიალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 3.0556
- ევრო — 3.4528
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8278
- 100 რუსული რუბლი — 4.4222

ამინდის პროგნოზი 25 ივნისისათვის

რაკიტიჩი: „მიხარია, რომ ბარსელონას 3 ქულა მოვუტანე“

ბარსელონას ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა ბილბაოს ატლეტიკთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ძალიან გაუხარდა გოლის გატანა, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ მისმა გოლმა ბარსელონას გამარჯვება მოუტანა:

– ძალიან გამიხარდა გოლის გატანა, რადგან ეს გოლი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. სწორედ ამ გოლის წყალობით მოვიგეთ, რაც განსაკუთრებით მაბედნიერებს. ნებისმიერი მატჩი მნიშვნელოვანია, რადგან ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს.

რაკიტიჩმა ასევე აღნიშნა, რომ ის ბარსელონაში ბედნიერია და გუნდის დატოვებას არ აპირებს.

სოლსკიაერი: „მინდა მომავალში პრემიერ ლიგის ტიტულისთვის ვიბრძოლოთ“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს, მომავალში მანჩესტერმა პრემიერ ლიგის ტიტულისთვის იბრძოლოს.

სოლსკიაერის აზრით, ამისთვის საჭიროა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი და მას იმედი აქვს, რომ ტრანსფერები შედგება:

– გუნდი კარგად არის დაკომპლექტებული, მაგრამ უმაღლესი მიზნებისთვის საჭიროა გაძლიერება და იმედი მაქვს, ზაფხულში ახალ ფეხბურთელებს დავიმატებთ. მინდა, რომ მომავალში პრემიერ ლიგის ტიტულისთვის ვიბრძოლოთ.

არტურო ვიდალი: „მაყურებლის გარეშე თამაში რთულია“

ბარსელონას ჩილელმა ნახევარმცველმა არტურო ვიდალმა განაცხადა, რომ მაყურებლის გარეშე თამაში საკმაოდ რთულია, რადგან მათი გამხნევება გუნდზე ყოველთვის კარგად მოქმედებს.

ვიდალის აზრით, ფეხბურთელებს უჭირთ ახალ რეალობასთან შეგუება.

– მაყურებლის გარეშე სტადიონზე ატმოსფერო ნაკლებად სპორტულია და, ბუნებრივია, ეს ხელს გვიშლის, მაგრამ მაინც ვცდილობთ, მაქსიმუმი ვაჩვენოთ. იმედი მაქვს, მაყურებელი მალე დაბრუნდება, – განაცხადა ვიდალმა.

ხამესი: „არ ვიცი, რატომ არ მათამაშებენ“

მადრიდის რეალის კოლუმბიელმა ნახევარმცველმა ხამეს როდრიგესმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მას რეალიდან წასვლა არ სურს, თუმცა არ იცის, რატომ არ ათამაშებენ: – ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები და ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემი მაქსიმუმი ვაჩვენო. მინდა, რომ ვითამაშო, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მეძლევა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეალიდან წასვლა არ მსურს. ვარჯიშებზე შრომას გავაგრძელებ და იმედი მაქვს, რომ შანსი მომეცემა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 ივნისისათვის

ვერძი – ეს დღე შესაფერისია ფიზიკური დატვირთვისა და სუფთა ჰაერზე სეირნობისათვის. მერკურის მფარველობის მეოხებით ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კურო** – განიწმინდეთ სულიერად და ხორციელად. მიუტევეთ. გელით საინტერესო და ხელსაყრელი შემოთავაზება. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ბევრი რამ იცვლება. ნებისმიერი კომერციული ოპერაციის განხორციელებამდე კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – კვლავ დაძაბული ხართ. საკუთარი პოზიციების მტკიცედ დაცვა აუცილებელია. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლა გეკრძალებათ. ეს დღე ოჯახს მიუძღვენით. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ქალწული** – საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დროა. ნებისმიერი რისკი გაუმართლებელია. **სასწორი** – გრძელვადიანი გეგმების კორექტირება მოგიწევთ. იოლად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეზე ან შემოთავაზებაზე, შესაძლოა, უარი თქვათ. გეგმები გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ნებისყოფა და თავშეკავება გმართებთ. **თხის რქა** – დაკისრებული მოვალეობები ძალიან დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. სასიყვარულო პაემანი იმედს გაგიცრუებთ. **მერწყული** – ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ცვლილებებია მოსალოდნელი. საკუთარი გეგმების რეალიზებაში ხელს არაფერი გიშლით. **თევზები** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. თქვენი ენთუზიაზმი ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. ოცნება გისრულდებათ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ქალი სტუმარ მამაკაცს ეუბნება:

– იმისთვის დაგპატიჟე და სუფრა გაგიშალე, რომ ჩემი ჯანმრთელობის სადღეგრძელო დაგელია, შენ კი უკვე მეექვსე ჭიქას სვამ სიტყვის უთქმელად.

– მაპატიე ლამარა, მაგრამ ისე ცუდად გამოიყურები, რომ...

●●●

დილით ცოლი ქმარს ეუბნება:

– გივი, სამსახურში მაგვიანდება და ჩაი შენ თვითონ დაისხი!

– კარგი, ძვირფასო!... და რამდენი კოვზი შაქარი მიყვარს?!..

●●●

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, იმედი მაქვს, რომ ოპერაცია კარგად დასრულდება.

– არ ინერვიულოთ, ცუდად დასრულებას უბრალოდ ვერ გაიგებთ.

●●●

მამაკაცი მღვდელს ეუბნება:

– მამაო, ცოლს ვუღალატე და როგორ მოვიქცე?

– რამდენჯერაც უღალატე, იმდენჯერ შემოუარე ეკლესიას!

– კარგი, მამაო, წავალ და ველოსიპედს მოვიტან...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ექიმმა მითხრა, რომ ორ კვირაში ფეხზე გავივლიდი!

– მერე?

– მართალი აღმოჩნდა! მანქანა გავყიდე მკურნალობის თანხის გასასტუმრებლად!

●●●

პატრულის თანამშრომელი ექიმს ეკედრება:

– ექიმო, იქნებ ოყნის გარეშეც შეიძლება?

– ჰმ, მანქანაში ცეცხლმაქრის და აფთიაქის გარეშე არაფრით შეიძლება და ოყნის გარეშე შეიძლება?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თეა დარჩიამ მეგრულ სიმღერაზე ცეკვა დადგა



მოცეკვავე თეა დარჩიამ ცნობილ მეგრულ სიმღერაზე „ვა გიორქო მა“ (არ გიყვარვარ მე) ცეკვა დადგა. მის მიერ დაარსებული ცეკვის სახელოსნო „თედასის“ წევრებმა ანსამბლ „გორდელას“ მიერ შესრულებულ მეგრულ სიმღერაზე დადგმული ცეკვა მეგრელებს მიუძღვნეს.

თეა დარჩიას ინიციატივას ინტერნეტში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოს უამრავი გაზიარება და თბილი კომენტარი აქვს.

ხატია ბუნიათიშვილს მაყურებელმა უმღერა



პარიზში ხატია ბუნიათიშვილმა კონცერტი გამართა. საღამო პიანისტის 33-ე დაბადების დღეზე შედგა.

გადავსებულმა დარბაზმა ხატია მხურვალე აპლოდისმენტებით და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა. სცენიდან გასვლამდე კი იუბილარ პიანისტს ყველამ ერთად ცნობილი სადაბადებისდღეო სიმღერა „ჰევი ბიორსდეი თუ იუ“ უმღერა.

ხატიასთვის საღამოს კულმინაცია მოულოდნელი აღმოჩნდა, პიანისტმა ემოციები ვერ შეიკავა და იტირა.

ქეთი მელუა საქველმოქმედო კონცერტს გამართავს



ბრიტანეთში მოღვაწე მუსიკოსი ქეთი მელუა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მხარდასაჭერად 27 ივნისს იუთუბზე საქველმოქმედო ონლაინ კონცერტს გამართავს.

– გამოწვევებით სავსე პერიოდში, ვცდილობდი მომეფიქრებინა, როგორ დავხმარებოდი სხვებს, ამიტომ გადავწყვიტე შევუერთდე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომელიც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ქვეყანაში კოვიდ 19-ის კრიზისის პერიოდში, – განაცხადა ქეთი მელუამ.

მსმენელებს დონაციის განხორციელება შეეძლებათ სატელეფონო ზარითა და სპეციალური ვებ-გვერდის მეშვეობით.

კოვიდ 19-ით გამოწვეული კრიზისის დაწყებისთანავე, საქართველოს წითელი ჯვარი აქტიურად მონაწილეობს მოწყვლადი ჯგუფების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაში. პანდემიის პირობებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ 80 000-მდე ამანათი დაარიგა და კვლავ აგრძელებს ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის მხარდაჭერას. ამ ინიციატივას ქეთი მელუაც შეუერთდა და კვირას ათასობით მსმენელისთვის პირდაპირ ეთერში იმღერებს.

უხუცესი კინოოპერატორი იგორ ნაგორნი გარდაიცვალა

უხუცესი კინოოპერატორი, უზადო პროფესიონალი და არაჩვეულებრივი ადამიანი იგორ ნაგორნი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია საქართველოს კინოაკადემიამ გაავრცელა:

– ბატონი იგორ ნაგორნი იყო საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი პირველი ოპერატორი. საქართველოს ტელევიზიის და ტელეფილმების სტუდიის მთავარი ოპერატორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, საკავშირო და ამიერკავკასიის სატელევიზიო ფილმების ფესტივალების ლაურეატი.

2017 წელს, კინოოპერატორთა საერთაშორისო კინოფესტივალზე „ოქროს თვალი“ კინოსაოპერატორო ხელოვნებაში შეტანილი ღვაწლისთვის პრიზით დაჯილდოვდა.

უხუცეს კინოოპერატორს 25 ივნისს საბურთალოს სასაფლაოსთან მდებარე წმინდა მიხეილის სახელობის ტაძრიდან უკანასკნელ გზაზე გააცილებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მრავალშვილიანმა ქალმა ვერ გაიგო, რომ ფეხმძიმედ იყო და მოულოდნელად იმშობიარა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი მრავალშვილიანი ქალი ვერ მიხვდა, რომ ფეხმძიმედ იყო და მოულოდნელად იმშობიარა.

32 წლის გრეის მიჩიმი ამტკიცებს, რომ არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ ფეხმძიმედ იმყოფებოდა. ქალის თქმით, ის მუდმივად იღებდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, არ შესცვლია ციკლი, მუცელი კი თითქმის არ წამოზრდია. მას ოჯახში ახალი წევრის მატება არ ჰქონია გათვალისწინებული და აპირებდა უფრო მეტი ემუშავა, რათა იპოთეკისთვის ფული შეეგროვებინა.

მშობიარობის დღეს ქალს დილით ადრე გაეღვიძა და მიხვდა, რომ წყლები დაღვარა.

– როდესაც ტუალეტში შევედი, იმის შეგრძნება საერთოდ არ მქონია, რომ უნდა მემშობიარა, – ამბობს ქალი, – სამი ფეხმძიმობის შემდეგ ჩემთვის კარგად იყო ცნობილი, თუ რას გრძნობ ასეთ დროს.

მისმა ყვირილმა ქმარი და უფროსი შვილი, 13 წლის ტაილერი გააღვიძა. ქალის თხოვნით მათ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს.

– ქმარმა დისპეტჩერს უთხრა: „ჩემი აზრით, ეს მგონი ბავშვია, მაგრამ ცოლი ფეხმძიმედ არ არის“, – იხსენებს მიჩიმი, – ამის თქმისთანავე, მან ყურმილი ტაილერს გადასცა და თვითონ ჩემთან გამოიქცა, ვინაიდან დავიძახე: „ჩქარა, დაიჭირე!“

მამაკაცი იძულებული გახდა, მეუღლის მშობიარობა თავად მიეღო. ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარებამ ქალი და მისი ახალშობილი გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს. გასინჯვამ აჩვენა, რომ დედაც და ბავშვიც სრულიად ჯანმრთელები იყვნენ და სამედიცინო დახმარებას არ საჭიროებდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო პრეპარატი; 2. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 3. ქალაქ თბილისის მერი; 4. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 12. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 18. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. პატარა ქვევრი.

თარაზულად: 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ზნეობა ანუ....; 9. ფრანგი მწერალი; 10. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმო; 19. კურორტი, ნავსადგური, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა